Публичность и прозрачность бюджета уже давно является фактором, определяющим эффективное управление, что в более чем в 100 странах мира оценивается по «Индексу открытости бюджета» (OBI – Open Budget Index).

Согласно последним четырем исследованиям показатели Грузии по «Индексу открытости бюджета» ясно указывают на значительные достижения страны в части прозрачности бюджета. В частности, по сравнению с 2006 годом, когда из максимальных 100 баллов Грузия набрала 34 балла, в 2010 году этот показатель составлял 55 баллов. Хотя в 2012 году положение было вновь оценено в 55 баллов. Скачок с 34 баллов до 55 баллов был одним из больших достижений, в результате, которого Грузия с ниже среднего

уровня переместилась на уровень выше среднего. Что касается приближающихся результатов исследования 2014 года, то, бесспорно, Грузия улучшит свой показатель. Этот показатель будет основан на реформах и процессах, не попавших в рамки исследования 2012 года.

Shorena Kakhidze

PHD in Business Administration,

Associated Professor

OPEN BUDGET INDEX AND GEORGIA

Annotation

During the last decade there was a huge attention shift towards creating the open budget systems around the world. Citizens are progressively claiming that they need to know how the government utilizes country financial resources. Experts conclude that budget transparency and control of its' execution can elevate the trust towards political decisions, reduce groundless and irrational spending and promote access to the international financial markets.

Budget publicity and transparency have been a critical determining factor for the effective governance for a long time. This factor is measured by the "Open Budget Index" (OBI - Open Budget Index) in more than 100 countries around the world.

According to the last four studies, the "Open Budget Index" scores of Georgia demonstrates the significant achievements in the direction of budget transparency. Specifically, compared to 2006, when the country held 34 points out of maximum score of 100, in 2010 the scores have been determined to increase to 55. In 2012 the scores stayed unchanged (55), however. Leap from 34 to 55 points was one of the greatest achievements Georgia accomplished and relocated to the upper intermediate level from the lower position. With regard to the forthcoming survey results in 2014, it is certain that Georgia will improve its figure. This new index will be based on the reforms and processes that were not included in 2012 survey frame.

მშენებლობის მკონიგა

ნინო ლომიძე

ახილებელი-პროფესორი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა ჩიხუა

მაგისტრი, ბიზნესის სკოლა,
მერხი კოლეჯი, ნიუიორკი

სამშენებლო საქმიანობის ფაქტოლოგიური და მკონიგიური

თავისებურებები

მშენებლობა სპეციფიკური დარგია და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებები მდგრამარეობს, ერთი მხრივ, მშენებლობის პროცესის ორგანიზების ტექნილოგიურ სირთულესა და ეკონომიკურ თავისებურებებში, მეორე მხრივ, სააღრიცხვო პროცედურების წარმოების და სამშენებლო კომპანიათა ფინანსური შედეგების აღიარება-შეფასების თავისებურებებში.¹

ერთი შეხედვით, მშენებლობა ტიპური საწარმოო პროცესია, თუმცა სამშენებლო და სამრეწველო საწარმოთა საქმიანობა გარკვეული თვალსაზრისით განსხვავდება ერთმანეთისგან. სამრეწველო ბიზნესი ძირითადად პროცესზე ორიენტირებულია და შესაბამისად ახდენს ერთი და იმავე სახეობის პროდუქციის გამოშვებას უწყვეტად. მაშინ, როდესაც, სამშენებლო ბიზნესში ამოსავალ წერტილს ცალკეულ პროექტებზე ორიენტაცია წარმოადგენს და მშენებლობაში შექმნილი თითეული პროდუქტი უნიკალურია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამშენებლო კომპანია, ორი, ერთი და იმავე დანიშნულების პროდუქტს (მაგალითად, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი) ქმნის, პროექტები, როგორც წესი, განსხვავებულია ადგილმდებარეობის, ხედების, სამშენებლო მოედნის რაციონალური გამოყენების და სხვა პირობების გათვალისწინებით. წარმოება ბევრად მოქნილი სფეროა ბაზარზე არსებული კონიუნქტურის გათვალისწინების თვალსაზრისითაც. მხედველობაში გვაქს, პროდუქტზე მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში, წინასწარ დამატებითი ნედლეულისა და მასალების მობილიზაციის, მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში კი დანახარჯების რეკონსტრუქტურიზაციის ხარჯზე სარეალიზაციო ფასის ცვლილების შესაძლებლობა. სამშენებლო ბიზნესში მასალების დასაწყობება, რო-

¹ მშენებლობის ფინანსურ თავისებურებებთან დაკავშირებით, შეგიძლია იხილოთ ნაშრომი: “ფინანსური შედეგების აღიარების თავისებურებები სამშენებლო კომპანიებში”, ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, თბ. 2011, მარტი-აპრილი

გორც წესი, არ ხდება. მშენებლობის საბოლოო პროდუქტის მიღება ხანგრძლივ პერიოდს საჭიროებს და თანაც მშენებლობის პროცესი დაცის ქვეშ მიმდინარეობს. ამდენად, სამშენებლო მასალების წინასწარი მობილიზაცია ფინანსური კუთხითაც გაუმართდებელია და სამშენებლო მასალების ხარისხის შენარჩუნების თვალსაზისითაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამრეწველო ბიზნესისგან განსხვავებით სამშენებლო ბიზნესი მეტად სენსიტიურია, რაც გამოიხატება იმაში, რომ სულ მცირედი არასტაბილურობის შეგრძნებაც კი (როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური) ბიძგს აძლევს მომხმარებელს თავი შეიკავოს უძრავ ქონებაში თანხების ინვესტიციისაგან. მომხმარებელთა ასეთი ქცევა იწვევს კომპანიათა გაყიდვების შემცირებას და მათი ფინანსური შედეგების და მდგომარეობის გაუარესებას. ამდენად, სამშენებლო-დეველოპერული ბიზნესის ერთ-ერთ თავისებურებას მისი მგრძნობელობაც წარმოადგენს გარე ფაქტორების მიმართ. სწორედ ამიტომ, მეტად საყურადღებოა სამშენებლო-დეველოპერულ ბიზნესში არასტაბილურობის გამომწვევი შიდა ფაქტორების მაქსიმალური კონტროლი, რათა მოხდეს მათი თავიდან აცილება და ზოგადი კრიზისული სიტუაციის ფონზე კომპანიების მიერ სირთულეების დაძლევა.

სამშენებლო საქმიანობის ძირითადი თავისებურებები ჩვენ წარმოვადგინეთ ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ თავისებურებებად.

მშენებლობის ტექნოლოგიური თავისებურებება შეიძლება აიხსნას მშენებლობის პროცესის ორგანიზების სირთულით, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს: 1) მშენებლობაში ჩართული მხარეების სიმრავლე და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკა; 2) მშენებლობაში ტექნიკური რეგლამენტების, ე.წ სამშენებლო ნორმების გამოყენების აუცილებლობა და 3) სხვა ფაქტორები, როგორიცაა: გეოგრაფიული, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და კლიმატური პირობების გავლენა მშენებლობის პროცესზე. ასევე, მშენებლობის პროცესის ხანგრძლივობა და სხვა.

მშენებლობის პროცესის განხორციელება რამდენიმე როლ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე საჭიროა ჩატარდეს შესაბამისი კვლევები კონკრეტულ სამშენებლო მოედანზე მშენებლობის განხორციელების მიზანშეწონილობის დასადგენად. ამის შემდეგ, ხდება ობიექტის პროექტირება, რომელიც მოიცავს არქიტექტურული ნახატის საფუძველზე კონსტრუქციული გეგმის შემუშავებას, სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიის განსაზღვრას და ბიუჯეტის მომზადებას, ანუ პროექტის სახარჯთაღრიცხვო თვითღირებულების დადგენას. შემდეგ ეტაპზე ხორციელდება საინჟინრო-ტექნიკური სამუშაოები, რაც გულისხმობს სამშენებლო მოედნის ტერიტორიის მომზადებას მშენებლობისათვის. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების შესრულების შემდეგ

იწყება საკუთრივ მშენებლობა, მშენებლობის დასრულების შემდეგ კი ხდება აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება.

სამშენებლო პროექტების განხორციელება სხვადასხვა ეტაპზე შინაარსობრივად და ფუნქციონალურად განსხვავებული კომპანიების თუ ფიზიკური პირების ჩართულობას საჭიროებს, რომელთა შორის ურთიერთობების სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური თავისებურებები რეგულირდება საქართველოს კანონით ”სამშენებლო საქმიანობის შესახებ” (2000 წ). ამავე კანონში განმარტებულია მშენებლობაში ჩართული მხარეების ცნებები და ფუნქციები. განსაზღვრული ჩარჩო პირობებით, მშენებლობის პროცესში ჩართული მხარეები, ანუ სამშენებლო საქმიანობის მონაწილეები არიან: მენაშენე, დამკვეთი, მენარდე და ქვემენარდე, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან სამშენებლო კომპლექსს.² სამშენებლო პროცესის მონაწილე თითეული მხარის ფუნქციონალური დატვირთვის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ ”სამშენებლო საქმიანობის შესახებ” კანონით გამოყოფილი სუბიექტები, პრინციპულად დაიყვანება ორ სუბიექტამდე: ”მენაშენესა” (დეველოპერული კომპანია) და ”მენარდემდე” (სამშენებლო კომპანია). რასაკვირველია, დიდია წინასაპროექტო, საპროექტო და სხვა ტიპის ქვემენარდე ორგანიზაციების როლიც, თუმცა სამშენებლო პროექტების სისრულეში მოყვანის ძირითადი პასუხისმგებლობა ნაწილდება მენაშენესა და მშენებელზე. რაც შეეხება სხვა, დამხმარე და ასევე მნიშვნელოვანი სუბიექტების ჩართვას მშენებლობის პროცესში და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოების ხარისხს – ამ ვალდებულებასაც საკუთარ თაგზე იღებენ ერთი მხრივ, დეველოპერული და მეორე მხრივ, სამშენებლო კომპანიები.

მაგალითისთვის, შეგვიძლია მოვიყვანოთ საპროექტო ორგანიზაცია, რომელიც მშენებლობის პროცესში ერთვება მას შემდეგ, რაც მენაშენე უზრუნველყოფს მიწის მოძიებასა და ამ მიწაზე მშენებლობის განხორციელების მიზანშეწონილობის დადგენას. ხშირად, დეველოპერები პროექტირების პროცესში საკუთარი საპროექტო ორგანიზაციების მომსახურებას იყენებენ. მათთვის მნიშვნელოვანია კომპანიაში ამ რგოლის (განყოფილების) არსებობა, რადგან სწორედ არქიტექტორების ხედვა განაპირობებს დეველოპერის გადაწყვეტილებას, გააშენოს და განავითაროს კონკრეტული ტერიტორია. ამდენად, მშენებლობის პროექტირების საკითხებს უმრავლეს შემთხვევაში თავად დეველოპერი აგვარებს ისე, რომ არ ჭირდება საპროექტო ორგანიზაციის დაქირავება, თუმცა ეს არ გამორიცხავს საპროექტო მომსახურების მიღებას დამოუკიდებელი იურიდიული ან/და ფიზიკური პირისგან. შემდეგ ეტაპზე

² საქართველოს კანონი ”სამშენებლო საქმიანობის შესახებ”, მუხლი 5

ხდება მერიის არქიტექტურის სამსახურში სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის აღება და უშუალოდ მშენებლობის პროცესის დაწყება. საყურადღებოა, რომ პრაქტიკაში ვხვდებით ორი ტიპის დეველოპერულ კომპანიას: ერთი, აცხადებენ ტენდერს მენარდე (მშენებელი)³ კომპანიის შესარჩევად და ასეთ შემთხვევაში სამშენებლო ფირმებს უვალებათ მენაშენისთვის პროექტის ხარჯთაღრიცხვის და სხვა საჭირო ინფორმაციის (არსებული გამოცდილება, კომპანიის ქონება და ფინანსური მდგომარეობა, ბანკის გარანტია პროექტის დორებულების 10-15%-ზე) წარდგენა. მეორენი – არ მიმართავენ ე.წ. “აუთ-სორსინგს” და მშენებლობის პროცესში რთავენ საკუთარ სამშენებლო კომპანიებს. ვფიქრობთ, პირველ შემთხვევაში დეველოპერთა მოტივაციის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს “იაფი” – დაბალბიუჯეტიანი სამშენებლო კომპანიის შერჩევა და ამით მაღალი მოგების გამომუშავების გარანტია. რაც შეეხება მეორე ტიპის დეველოპერთა ინტერესს, ისარგებლონ საკუთარი სამშენებლო კომპანიების მომსახურებით – შესაძლოა აქ ვივარაუდოთ მშენებლობისთვის საჭირო მასალების ხარისხის კონტროლის, ასევე კპალიფიციური კადრის გამოყენების თუ მშენებლობის პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგის უკეთეს შესაძლებლობაზე. მშენებლობის შემდგომ ეტაპზე პროცესში ერთვებიან ქვემენარდე კომპანიები, რომლებიც მენარდესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ კონკრეტულ სამუშაოებს. სამშენებლო პროექტის დასრულების ეტაპს წარმოადგენს მზა პროდუქტის ვარგისად აღიარება და ექსპლუატაციაში მიღება, რომელსაც უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) – თბილისის არქიტექტურის სამსახური. თუ საქმე გვაქვს განსაკუთრებული მნიშვნელობის და რისკის მაღალი ფაქტორის მქონე შენობა-ნაგებობებთან, მათი ექსპლუატაციაში მიღების შესაძლებლობას განსაზღვრას ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო ორგანო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

ეკონომიკური ეფექტიანობის, ტექნიკური პროგრესის და განსაკუთრებით, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელია მშენებლობის პროცესი შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით ხორციელდებოდეს, რაც მშენებლობის დარგის ტექნოლოგიური თავისებურების ერთ-ერთი გამოვლინებაა. ნებისმიერი საინჟინრო თუ ტექნიკურ-ტექნოლოგიური ტიპის გადაწყვეტილებათა მიღება წინასწარ შემუშავე-

³ ყოველდიურობაში ნაკლებად გამოიყენება ტერმინი მენარდე ან ქვემენარდე კომპანია. ხშირად მათ

მოიხსენიებენ, როგორც კონტრაქტორი ან ქვეკონტრაქტორი კომპანია.

ბულ და აღიარებულ ტექნიკურ პარამეტრებს უნდა ეფუძნებოდეს. მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა დეტალი და ნიუანსი, რომელიც საზოგადოებას მშენებლობის პროდუქციის ხანგრძლივად და უსაფრთხოდ გამოყენების გარანტიას მისცემს. ამისთვის კი საჭიროა ქვეყანაში არსებობდეს ეროვნული ტექნიკური რეგლამენტები⁴, რომელიც გაითვალისწინებს ქვეყნის ბუნებრივ და საცხოვრებელ პირობებს, აგრეთვე, გეოპოლიტიკურ, სეისმოლოგიურ მდგომარეობას და სხვა მახასიათებლებს. დღეისათვის, საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ეროვნული ტექნიკური რეგლამენტია შემუშავებული.⁵ ეროვნული რეგლამენტების ფაქტობრივად არარსებობის გამო, საქართველოში, სამშენებლო საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, 2010 წლის 18 ოქტომბრის, №251 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში მოცემული ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების (ე.წ. CHиП-ების), წესებისა და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გათვალისწინებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და რომელთა აღტერნატივა არ არსებობს ეროვნული სამშენებლო ნორმების და წესების ან ნორმატიული აქტების სახით.

მშენებლობის ტექნოლოგიურ თვისებურებას ასევე განაპირობებს გეოგრაფიული, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების გათვალისწინება მშენებლობის ცალკეული პროდუქტის შექმნის პროცესში. საეურადღებოა ისიც, რომ მშენებლობა ღია ცის ქვეშ მიმდინარეობს. ცხადია, მასზე მოქმედებს კლიმატური პირობები, მით უფრო, როცა მშენებლობის პროცესი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და ხშირად რამდენიმე წლის განმავლობაშიც გრძელდება. ასეთ ვითარებაში, აუცილებელია დაცული იყოს მშენებლობის ნორმები, რათა პროდუქციის ხარისხი არ გაფუჭდეს. სამწუხარო რეალობაა და შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ დღეს საქართველოში სამშენებლო კომპანიები მინიმალურ სტანდარტებსაც კი იშვიათად იცავენ. ნებისმერმა ადამიანმა იცის, რომ არმატურას არ უნდა აწვიმდეს და ათოვდეს.

⁴ **ტექნიკური რეგლამენტი** – არის დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს პროდუქციის მახასიათებლებს ან მასთან დაკავშირებულ პროცესებს და წარმოების მეთოდებს, შესაბამისი აღმინისტრაციული მოთხოვნების ჩათვლით, რომელთა დაცვა სავალდებულოა. ის ასევე შეიძლება ექსკლუზიურად მოიცავდეს ან განსაზღვრავდეს ტერმინოლოგიას, სიმბოლოებს, შეფუთვის, მარკირებისა და ეტიკეტირების მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება პროდუქტზე, პროცესზე ან წარმოების მეთოდზე. **წეარო:** საქართველოს მთავრობის განკარგულება № 1140, თავი 2 – ტერმინთა განმარტება, ობ, 2010წ.

⁵ <http://www.economy.ge/ge/economic-legislation/construction>

წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს ხარისხიანი სამშენებლო მასალის თვისებებს.

სამშენებლო-დეველოპმენტული საქმიანობის ეკონომიკური თავისებულებებით ჩვენ გამოვყავით მშენებლობის პროდუქციის თვითდირებულების ფორმირებისა და ფასწარმოქმნის თავისებულებები. საქმე ისაა, რომ მშენებლობის პროდუქციის შექმნა სხვადასხვა შინაარსის და სპეციფიკის სამუშაოების შესრულებას საჭიროებს და პროექტის საბოლოო თვითდირებულებას სწორედ ამ სამუშაოების ჯამური დირებულით განისაზღვრება. სამშენებლო სამუშაოთა დირებულებაში ჩაირთვება სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების დირებულება (ახალი მშენებლობა, აღდგენა), კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სამუშაოები, სარეკონსტრუქციო და სხვა სანარდო სამუშაოები (გამშვებ-გამმართავი, ბურღა-ფენებითი, გადახსნითი, კულტტექნიკური სამუშაოები და სხვა).⁶ ეკონომიკური თავისებულებაა ის, რომ მშენებლობაში თვითდირებულების რამდენმე ტიპი გამოიყოფა: სახარჯთაღრიცხვო, გეგმური და ფაქტობრივი თვითდირებულება.⁷ სახარჯთაღრიცხვო თვითდირებულება პროექტის წინასწარ დირებულებას წარმოადგენს, რომლის ფორმირებაც შესაბამისი სახარჯთაღრიცხვო ნორმების საფუძველზე სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საშუალებით ხორციელდება. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ წარმოადგენს დამკვეთსა (ხშირად დეველოპმენტული კომპანიები დამკვეთებად იწოდებიან) და მშენებელ კომპანიებს შორის ანგარიშსწორების საბოლოო საშუალებას. იგი უბრალოდ იძლევა ინფორმაციას პროექტის სავარაუდო დირებულების შესახებ, რომელიც მომავალში შეიძლება დაექვემდებაროს კორექტორებას. ფაქტობრივი თვითდირებულება – ესაა კონკრეტული პირობების გათვალისწინებით შემუშავებული პროექტის დირებულება, რომელიც სამშენებლო კომპანიისთვის მოგების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს. ფაქტობრივი თვითდირებულება მშენებლობის პროდუქციის შექმნაზე რეალურად გაწეული დანახარჯების ჯამია და ხშირ შემთხვევაში სწორედ მასზე დაყრდნობით ხორციელდება დამკვეთსა და სამშენებლო კომპანიას შორის ანგარიშსწორება. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, თუ როგორი ტიპის კონტრაქტია გაფორმებული მხარეებს შორის, რამდენადაც კონტრაქტის შინაარსიდან გამომდინარე საჭირებით შესაძლებელია ანგარიშსწორების საფუძველი სულაც არ იყოს ფაქტობრივი თვითდირებულება და იყოს, ფიქსირებული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო ფასი. ამდენად, მშენებლობაში

⁶ საქართველოს სტატისტიკური წლილდებული, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ, 2009წ.

⁷ ჯ. ჩოგოვაძე, რ. პატარაია, მშენებლობის ეკონომიკა, თბ, 2008, გვ. 164

ფასწარმოქმნის პროცესიც თავისებურია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებო სამშენებლო პროდუქციის შესაქმნელად საჭირო დროის არცთუ მოკლე პერიოდს. მშენებლობა განსაკუთრებული სენსიტიურობით გამოირჩევა. მშენებლობის პროცესის მიმდინარეობაზე განსაკუთრებულად აისახება ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობები. სწორედ ამიტომ, დამკვეთი და მშენებელი კომპანიები ცდილობენ გამოიჩინონ მაქსიმალური წინდახედულება პროექტის ფასის და ხელშეკრულების პირობების ფორმირებისას.

საყურადღებოა, რომ სამშენებლო პროექტისთვის მშენებელი კომპანიის გამოვლენა საქართველოშიც და საერთაშორისო პრაქტიკაშიც ძირითადად კონკურსის საფუძველზე ხორციელდება. თუმცა, ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რიგი დეველოპერული კომპანიებისა უპირატესობას საკუთარ სამშენებლო კომპანიებს ანიჭებს და არ აცხადებს ტენდერს მენარდე კომპანიის გამოსავლენად, რაც სამშენებლო-დეველოპერული ბიზნესის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს. მიუხედავად ამგარი სპეციფიკისა, ნებისმიერ შემთხვევაში ფორმდება ხელშეკრულება დამკვეთსა და მოიჯარე (მენარდე) კომპანიებს შორის. ხელშეკრულება, როგორც წესი, გრძელვადიანია, სახელშეკრულებო ფასი კი შეიძლება იყოს “დია”, ანუ ექვემდებარებოდეს დაზუსტებას მშენებლობის პროცესის მიმდინარეობისას და “მყარი” ანუ “საბოლოო”. სამშენებლო პროდუქციის ფასის ფორმირებისას შესაძლებელია სხვადასხვა მიღომების გამოყენება. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში განისაზღვრება ფასის მინიმალური დონე, რომელიც გაწეულ დანახარჯებს ეყრდნობა. მაღალი მოთხოვნის და კონკურენციის პირობებში დგინდება ფასის მაქსიმალური ზღვარი. ზოგჯერ კი ხდება ფასის ოპტიმალური დონის განსაზღვრა. ამდენად, სამშენებლო კომპანიები დამკვეთისთვის პროექტის ბიუჯეტის წარდგენისას ხელმძღვანელობენ სხვადასხვა მეთოდებით. საყურადღებოა, რომ ყველაზე პოპულარულ მეთოდს ე.წ. “დანახარჯები პლუს მოგება” წარმოადგენს. ამ შემთხვევაში დამკვეთი სამშენებლო კომპანიას უნაზღაურებს ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების ლირებულებას და პლუს მოგებას. მოგების მარჯის სიდიდე, ზოგიერთ შემთხვევაში სტანდარტულია და განისაზღვრება როგორც ერთი მთლიანი. ზოგიერთ შემთხვევაში კი დიფერენცირებულია სამუშაოთა სახეობების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ერთიანი ფასნამატის შემთხვევაში ვერ ხერხდება ცალკეულ სამუშაოებზე მოთხოვნისა და კონკურენციის დონის გათვალისწინება. ამის მიუხედავად, მოიჯარე კომპანიები სშირად უარს ამბობენ ცალკეულ სამუშაოებზე განსხვავებული ფასნამატების დაწესებისგან, რადგან ეს დამატებით ახსნა-განმარტებებს საჭიროებს მარჯების განსხვავებული

სიდიდეების დაწესების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და მენაშენე კომპანიებსაც დისკომფორტს უქმნის.

“დანახარჯებს პლუს მოგება” მეთოდის პოპულარობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ის ერთნაირად მისაღებია როგორც დამკვეთი, ასევე მშენებელი კომპანიებისთვის. საქმე ისაა, რომ ხშირად, ბიუჯეტით გათვალისწინებული დანახარჯების მოცულობასა და ფაქტობრივ მოცულობებს შორის არის გარკვეული ცდომილებები. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება სამართლიანობის განცდას უტოვებს დამკვეთსაც და მშენებელ კომპანიასაც. თუმცა, ისიც საყურადღებოა, რომ სამუშაოების დირებულების ბიუჯეტურთან შედარებით ზრდის შემთხვევაში, მოიჯარე კომპანიას უწევს შესაბამისი ახსნა-განმარტებების გაკეთება და, როგორც წესი, დირებულების გაზრდას ის კონსტრუქციული ნახაზის უზუსტობას მიაწერს.

სამშენებლო პროექტის ფასის ფორმირებისას მოიჯარე კომპანიები სხვა მეთოდებსაც იყენებენ. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, სამშენებლო კომპანიას სურს გამოიმუშაოს მიზნობრივი მოგება და ბიუჯეტსაც ისეთს წარუდგენს დამკვეთს, რომ გათვალისწინებული იყოს სასურველი მოგების მოცულობა. ასეთ შემთხვევაში მოგების სიდიდე დამოკიდებულია სამშენებლო სამუშაოთა მოცულობაზე. ანუ, რაც მეტია შესასრულებელი სამუშაო, მით მეტია მოგება. სწორედ ამიტომ, ეს მიდგომა ლიტერატურაში “მოთხოვნაზე ორიენტირებული მეთოდის” სახელწოდებითაა ცნობილი.⁸ ასევე, გამოიყენება “კონკურენტებზე ორიენტირებული მეთოდი”, რომლის დროსაც ნაკლები ყურადღება ეთმობა საკუთარ დანახარჯებს და სამშენებლო პროექტის ფასის ფორმირება ხორციელდება ძირითადი კონკურენტების მაჩვენებლების დონის გათვალისწინებით. ერთგვარ თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ ფასის დაწესება ხშირად არ მთლიან სამშენებლო პროექტზე, არამედ პროექტში შემავალ ცალკეულ სამუშაოებზე ხდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელშეკრულებო ფასი შესაძლებელია იყოს “დია” და “მყარი”, ანუ “საბოლოო”. პირველ შემთხვევაში დამკვეთსა და მენარღე კომპანიას შორის ფორმდება “დანახარჯებს დამატებული მოგება” ტიპის კონტრაქტი, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ. რაც შეეხბა მყარ, ანუ საბოლოო ფასს – აქ საქმე გვაქვს “ფიქსირებულფასიან კონტრაქტთან”, რომლის დროსაც მოიჯარე კომპანია დამკვეთისგან იღებს ფიქსირებულ თანხას და დამკვეთი არ ანაზღაურებს მშენებლის მიერ ზედმეტად გაწეულ დანახარჯებს, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს ფასების ზრდას, ვალუტის კურსის ცვლილებას, ფორსმაჟორულ სიტუაციას და სხვა. დამკვეთის

⁸ ვ. ცინკაძე, მშენებლობის ეკონომიკა, თბ, 2008, გვ. 114.

ამგვარი დამოკიდებულება გარკვეულ სტიმულს აძლევს მენარდე კომპანიას რაც შეიძლება ზედმიწევნით გააკონტროლოს მშენებლობასთან დაკავშირებული დანახახარჯები, მიიღოს ფიქსირებული ამონაგები და გამოიმუშაოს მაქსიმალური მოგება.

ფინანსურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური თავისებურებების გარდა, მშენებლობის ინდუსტრიაში სოციალური პასუხისმგებლობის საკითხიც განსაკუთრებით საყურადღებოა. ჯერ ერთი, რომ მშენებლობის პროდუქციის მომხმარებელი სრულიად საზოგადოებაა და მის კეთილდღეობაზე ზრუნვა უმთავრესია. მეორეც, თავად მშენებლობის პროცესში, განსაკუთრებით კი მრავალსართულიანი კომპლექსების მშენებლობისას, დასაქმებულთა შრომა თავისთავად საფრთხის შემცველია. ამდენად, ყველა სამშენებლო კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს მომუშავეთათვის უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნა და საზოგადოებისთვის ხარისხიანი, მყარი, ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა.

ნინო ლომიძე

იგ. ჩაგახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი
შოთა ჩიხუა
მეცნიერების მაგისტრი, ბიზნესის სკოლა,
მერსი კოლეჯი, ნიუიორკი

სამშენებლო საჭმიანობის ჰემოლიტიზრი და ეპონომიკური თავისებურებები

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია მშენებლობისთვის დამახასიათებელი ის ტექნოლოგიური და ეკონომიკური თავისებურებები, რომელიც უკავშირდება: ერთი მხრივ, მშენებლობაში ჩართული მხარეების სიმრავლესა და მათ მიერ სამშენებლო ნორმების დაცვით შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკას; მეორე მხრივ, სამშენებლო პროდუქციის თვითირებულების ფორმირების და ფასწარმოქმნის საკითხებს.

ნაშრომში აქცენტი გაკეთებულია მშენებლობის პროდუქციის უნიკალურობაზე, რაც საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას ცალკეული სამშენებლო პროექტების მიმართ, მიუხედავად მათი შინაარსობრივი და ვიზუალური მსგავსებისა.

Нино Ломидзе

Тбилисский Государственный Университет им. И.Джавахишвили

Ассистент-Профессор

Шота Чичуа

Магистр Науки, Бизнес Школа. Мерси колледж, Нью-Йорк

ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ И ЭКОНОМИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ СТРОИТЕЛЬНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ

Аннотация

В статье рассматриваются технологические и экономические особенности строительных работ, что связано: с одной стороны, участвующих в строительстве множеством сторон и спецификой работы, подлежащих в выполнении в соответствии строительных норм; и с другой стороны, с вопросами формирования себестоимости строительственного продукта и ценообразования.

В статье особое внимание уделяется уникальности строительной продукции, которое требует индивидуальный подход к каждому строительному проекту, независимо от его содержания и визуального сходства.

Nino Lomidze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Assistant – Professor;

Shota Chichua

Master of Acience, School of Business, Mercy Collage, New York

TECHNOLOGICAL AND ECONOMIC CHARACTERISTICS OF CONSTRUCTION ACTIVITIES

Annotation

The paper deals with the technological and economic characteristics linked to the construction activities, which correlates issues on the one hand by the related technological features as reflected in the high number of involved parties in the construction process and the specificity of the works to be performed in accordance with the construction standards, and on the other hand by the economic characteristics that are associated with the formation of construction cost, as well as pricing process.

The paper focuses on the uniqueness of the construction product, which requires an individual approach to specific construction projects, regardless of their content and visual similarity.

სოფლის მეურნეობა

**თინა ჩხეიძე
პროფესორი
ქათევან ქველაძე
აკადემიური დოქტორი**

სამართველოს სოფლის მეურნეობა გლობალური დათბობის მოლოდინში

გასული საუკუნის ბოლოს კაცობრიობის ყერადღება მიიპყრო ატ-მოსფერული ჰაერის ტემპერატურის მატებამ, რაც დედამიწაზე კლიმატის ცვლილებით აღინიშნა. ეს მოვლენა შესამჩნევი გახდა XX საუკუნის დასაწყისში. ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე დედამიწაზე ჰაერის ტემპერატურა $2-3^{\circ}$ C-ით მოიმატა. ყინულოვანი ოკეანეს მოელრიგ კუნძულებსა და ზომიერი სარტყლის მაღალმთიან სისტემებში ყინულმა დაიწყო დნობა. მსოფლიო შეაშფოთა კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა გლობალურმა დათბობამ.

გლობალური დათბობის ძირითადი მიზეზი ატმოსფეროში ე.წ. “სათბურის გაზების“ ემისია და შესაბამისად “სათბურ გაზების“ კონცენტრაციის ზრდა წარმოადგენს. “სათბური გაზების“ გააქტიურებას ხელს უწყობს ანტროპოგენული ფაქტორი. ადამიანის სამურნეო მოქმედებებით ხდება მავნე გაზების ემისია ატმოსფეროში. ამჟამად ტროპოსფერო ბინძურდება ჭვარტლის და კვამლის ნაწილაკებით, მეავებითა და რადიაქტიული ნარჩენებით (მაგ. ეთილინებული ბენზინის წვის დროს გამოიყოფა ტყვია, რომელიც აბინძურებს გარემოს. თანამედროვე მსოფლიოში 500 მლნ-ზე მეტი ავტომობილია. ერთი ავტომობილი ყოველწლიურად მოიხმარს 4ტ ჟანგბადს და გამოყოფს 1ტ-ზე მეტ მავნე ნივთიერებებს.)

ატმოსფეროს დაბინძურება სოფლის მეურნეობის წარმოებებიდან ხდება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მეფრინველების ფერმებიდან გარემოში ხვდება ამიაკი, გოგირდწყალბადი და ა.შ. მავნე გაზები.

დამაბინძურებელი გაზებით დაბინძურებული ჰაერი (როგორც ცალმხრივი ფილტრი) მზის სხივოსნურ ენერგიას თავისუფლად ატარებს დედამიწამდე, ხოლო დედამიწიდან არეკლილ სითბურ ენერგიას აგროვებს ატმოსფეროში (ისე როგორც, სათბურის შუშის კედლები და სახურავი მზის სხივებს თავისუფლად ატარებს სათბურში, ხოლო სათბურიდან სითბოს გარეთ აღარ უშვებს). აქედანაა ტერმინი “სათბურის გაზები“. ყველაზე მეტად აქტიური სითბოს დამჭერი და შემ-

გროვებელი არის ნახშირორჟანგი, ამიტომ რაც მეტია პაერში ნახშირორჟანგი, მით მეტია “სითბური ეფექტი”. (დედამიწაზე ყოველწლიურად 2 მილიარდი ტონა წიაღისეული საწვავი იწვის, რაც 5,5 მილიარდ ტონა ნახშირორჟანგს წარმოქმნის, გარდა ამისა, ტროპიკული ტყეები გამოყენ დაახლოებით 1,7 მილიარდ ტონა ნახშირორჟანგს).

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ატმოსფეროში ნახშირორჟანგის რაოდენობა 0,027%-დან 0,036%-მდე გაიზარდა, რის გამოც დედამიწის ატმოსფერული პაერის საშუალო ტემპერატურამ 0,6⁰ C-ით მოიმატა.

ნახშირორჟანგის მატების შედეგად ყველაზე მეტად მსოფლიოში “სათბური ეფექტის” საშიშროება განიხილება, რასაც აუცილებლად მოჰყება გლობალური დათბობა.

მრავალი ასეული წელი დასჭირდა იმას, რომ მზიდან შემოსულ და დედამიწის მიერ არეკლილ ენერგიას შორის წონასწორობა დამყარებულიყო, რის შედეგადაც დედამიწაზე ჩამოყალიბდა თანამედროვე კლიმატი.

რაც უფრო მაღალია „სათბური გაზების“ კონცენტრაცია ატმოსფეროში, მით მეტი სითბო რჩება დედამიწაზე. „სათბური გაზების“ კონცენტრაციის მიხედვით იცვლება კლიმატი დედამიწაზე. დედამიწაზე შემოსული და დედამიწიდან არეკლილ ენერგიას შორის ბალანსი რეგულირდება კლიმატის ცვლილებით. აქედან გამომდინარე გლობალური დათბობა გამოიწვევს დედამიწაზე კლიმატის შეცვლას. ამჟამად დედამიწაზე მიმდინარეობს კლიმატის ცვლის პროცესი. პაერის ტემპერატურის ზრდა უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს დებულობს. კლიმატის გლობალურ ცვლილებას თან სდევს უამრავი დრამატული გამოვლინებები. ასე მაგ.: ინტენსიურად დნება არქტიკისა და გრელანდიის ყინულოვანი საფარი. არქტიკის საშუალო წლიური ტემპერატურა სწრაფად მატულობს. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, საუკუნის ბოლოსათვის არქტიკა ზაფხულობით შეიძლება ყინულით ადარ იქნება დაფარული. არქტიკისა და გრელანდიის ყინულის დნობის შედეგად ოკეანეში ჩაფდინება ცივი წყალი, რომელიც ასუსტებს გოლფსტრიმის თბილ დინებას, რომელსაც ეკვატორიდან სითბო გადააქვს ჩრდილო განედისკენ.

ბოლო წლებში გახშირდა და გაძლიერდა დედამიწაზე სითბური ტალღები (სითბური ტალღები ეწოდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უკიდურესად ცხელ ამინდს), რომელთაც თან სდევს მაღალი სინოტივე (2003 წელს იგნის-აგვისტოში ეკროპაში განვითარებული სითბური ტალღები უკიდურესად ცხელი იყო, განსაკუთრებით საფრანგეთში. ამ წელს “სათბური ტალღების” შედეგად 37 ათასზე მეტი ეკროპელი გარდაიცვალა, აქედან ყველაზე მეტი დაახლოებით 14 ათასი ადამიანი, საფრანგეთში ძირითადად მარტოხელა მოხუცები). “სათბურმა

ტალღებმა“ სამხრეთ ევროპაში მარცვლეულის უკმარისობა გამოიწვია. ევროკავშირის ქვეყნებში ხორბლის მოსავალი მოსალოდნელზე 10 მდნ ტონაზე ნაკლები აღმოჩნდა.

კლიმატის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა შეაფასა საქართველოში კლიმატის გავლენის ინტენსივობა და დაადგინა ცვლილებათა ზოგადი ტენდენციები. კლიმატის დათბობა სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის კავკასიის მყინვარებს, გამოიწვევს მათ ინტენსიურ დნობას. დათბობის ეფექტი განსხვავებული იქნება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში ნავარაუდევია აცივება, ჰაერის ტემპერატურა დაიწევს 3°C -ით, კლიმატის ცვლილება გავლენას მოახდენს შავ ზღვაზე, რაც გამოიწვევს ზღვის წყლის გაცივებას, რომელსაც გააცივებს ხმელთაშუა ზღვიდან შემოჭრილი თბილი დინების ნაცვლად ცივი დინება. წყლის დონე აიწევს (25მ/წ.), ამავე დროს კოლხეთის დაბლობი დაიწევს (50მ/წ.). პლიაზი ჩაირეცხება ზღვის წყლის მიერ (რამაც უკვე იმსხვერპლა კოლხეთის სანაპირო ზოლის 600 ჰა), რაც გამოიწვევს ტურისტული სეზონის შემოკლებას და შეიზღუდება რეკრეაციული და საკურორტო სექტორი.

ზღვის თერმული პირობების შეცვლის გამო დაზარალდება მეოუგზეობა. საარსებო გარემო გაუარესდება ზოგიერთი თევზისა და პლანეტონისათვის.

კლიმატის შეცვლა გამოიწვევს მიწათმოქმედების ზონების შეცვლასაც.

საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ცალკეულ ზონებად. ზონებად დაყოფას საფუძვლად უდევს ბუნებრივი პირობები. მნიშვნელოვანია ჰაერისა და წყლის ნიადაგის მცირედი ტემპერატურის ცვლილებაც კი. ჰაერის ტემპერატურის ყოველი მეთედი გრადუსით ცვლილება კრცელდება 100 კილომეტრის ფართობზე (ისე, როგორც ჯანმრთელი ადამიანის სხეულის ნორმალური ტემპერატურა არის $36,6^{\circ}\text{C}$, თუ ტემპერატურამ აიწია $0,5^{\circ}\text{C}$, ეს გახდა $37,1^{\circ}\text{C}$, ეს ნიშნავს რომ ადამიანი აგად არის და საჭიროა ზომების მიღება). საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და მდებარეობს ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაზე, რის მიხედვითაც ტერიტორია იყოფა სამეურნეო ზონებად. მაგ. მეკარტოფილება განვითარებულია საქართველოს მაღალმთიან ზონაში (ზღვის დონიდან 1400 მ-ზე ზევით). ამ ზონისათვის შერჩეულია მოკლე განათების (ფოტოპერიოდიზმის) მომთხოვნი კარტოფილის ჯიშები, რაც ჯიშის პოტენციალის სრულ გამოვლენას სჭირდება. უფრო დაბალ ნიშნულზე ამ ჯიშს ემუქრება ვირუსული დაავადებები.

საქართველოს მაღალმთიან ზონაში კლიმატის დათბობის შემთხვევაში ადგილობრივ პირობებს შეჩვეული კარტოფილის ჯიშები გარემო პირობების შეცვლის გამო მოსავალს არ მოგვცემენ, ან მოგვცემენ შემცირებული რაოდენობით.

დასავლეთ საქართველოში საჭირო იქნება მიწათმოქმედების კულტურის შეცვლა. ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტრადიციული დარგის მესიმინდეობის პრობლემას. კერძოდ, ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდის (140 დღეზე მაღალი) მქონე ჯიშების შეცვლა საშუალო და მოკლე ვეგეტაციის პერიოდის ჯიშებით, რომლებიც სწრაფი განვითარების ბაზაზე შესძლებენ გვალვისადმი ყველაზე არამდეგი ფაზის (გენერაციული ორგანოების წარმოქმნა) მოსწრებას ზაფხულის გვალვიანი პერიოდის დადგომამდე. ასე რომ, დასავლეთ საქართველოში კლიმატის ცვლილება გამოიწვევს მთელ რიგ სერიოზულ აგროტექნიკურ ცვლილებებს.

კლიმატის შეცვლა იმოქმედებს ხვნა – თესვის კალენდარულ დროზე. საჭირო გახდება სასოფლო სამეურნეო კულტურების სავეგეტაციო პერიოდის მხედველობაში მიღება. საფრთხე დაემუქრება სუბტროპიკულ სითბოს მოყვარულ მცენარეებს.

ამის გარდა, შესაძლებელია სოფლის მეურნეობაზე ექსტრემალური ზემოქმედებები, რომელიც გამოწვეული იქნება დიდი წყალდიდობით, მდგრადი გვალვებით, ტყის ხანძრებით, სასოფლო სამეურნეო მავნებლებით და ა.შ.

აღმოსავლეთ საქრთველოში ჰაერის ტემპერატურამ შესაძლებელია აიწიოს 2°C -ით. ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება ძირეულად უნდა გარდაიქმნას. უნდა გადაიხედოს სასოფლო სამეურნეო კულტურების ზონები. უნდა შეიცვალოს ისეთი კულტურებით, რომელთა ვეგეტაციის ხანგრძლივობა შესაბამისობაში მოვა ზონის კლიმატან. ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ საქართველო, რომლის კლიმატი დღეისათვის არის მშრალი სუბტროპიკული კლიმატიდან გარდამავალი კლიმატი, რაც საუკეთესოა მარცვლეული კულტურებისათვის, შეიცვლება ისეთი კუტურებით რომელთა ვეგეტაციის პერიოდი დაემთხვევა რეგიონის ახალი კლიმატის პირობებს. აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ საქართველოში საფრთხე ემუქრება თავთავიან კულტურებს. გარდანის, მარნეულის, გურჯაანის, საგარეჯოს, ბოლნისის რაიონებში მოიმატებს გვალვიანობა. დადგება გაუდაბნოების საშიშროება, რაც განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების მოსავლიანობას შეამცირებს. ასევე მოსალოდნელია ვაზის ადგილობრივი ჯიშების მოსავლიანობის შემცირება.

გარემოს დაცვის საკითხი XXI საუკუნეში მთელი მსოფლიოსათვის უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ეს გამოიწვია იმან, რომ 40

იგრძნობა გლობალური დათბობის შედეგები და გარკვეული რესურსების დანაკლისი, რისმა შემცირებამაც წარმოუდგენელი ზიანი შეიძლება მიაყენოს მსოფლიო ეკონომიკას. უამრავი გამონაბოლქვის კერები, როგორიცაა ქარხნები, მანქანები და ა.შ. ზიანს აუენებენ იმ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

მსოფლიო თანხმდება იმაში, რომ გლობალური დათბობის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ ერთობლივი ძალით, მაქსიმალურად შეამცირონ მავნე გაზების გამომფრქვევი საწარმოები და შეცვალონ ისინი ახალი ტექნოლოგიებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Засуха-Всемирный Банк Управления устойчивого экологического и социального развития - 2006г.
2. Говдегрдоშვილი გ., სამთო მიწათმოქმედების პრობლემები და CABE საერთაშორისო საქართველოში. 2012წ.
3. Гиусов - Экономика природопользования - 2003г.
4. Алексеев С.В. – экология, 1997г.
5. დვალიშვილი ზ., ელისბარაშვილი ნ., გლობალური გეოგრაფია, 2012წ.
6. გოგონია რ. გლობალიზაცია და საქართველოს მომავალი, Thuzyiag AprPiP. 2011.
7. აბესაძე რ., გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გადასვლის ზოგიერთი ასპექტი, გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო – პრაქტიკული კონფერენციის მასალები – ტომი I, 2012წ.
8. ჩხეიძე თ., სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, 2000წ.
9. გლობალური დათბობა – ckotact.com/2010/09/25
10. hupi/informedmedia.ge/სტატია/1158გარემოსდაცვა პოლიტიკაში/21/ბედია/horrichonn/2012,7აპრილი/3/

*თიხა ჩხეიძე
პროფესორი
ქვეყანის ქველაძე
აკადემიური დოქტორი
საქართველოს სოფლის მეზრნეობა გლობალური
დათგობის მოლოდინი*

ანოტაცია

სტატიაში განხილულია დედამიწაზე გლობალური დათბობის შესაძლებლობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

არსებული მონაცემების მიხედვით „სათბური გაზების“ კონცენტრაციის ზრდას მოყვება დედამიწაზე გლობალური დათბობა. კლიმატის დათბობის ეფექტი სხვადასხვა იქნება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოში აცივდება. ჰაერის ტემპერატურა დაიწევს 3°C -ით, რის გამოც საფრთხე შეექმნებათ სუბტროპიკულ მცენარეებს.

შევი ზღვის წყალი გაცივდება, რაც უარყოფითად აისახება მეოქვეობაზე.

აღმოსავლეთ საქართველოში დათბება. ტემპერატურა მოიმატებს 2°C -ით, რაც ისე, როგორც დასავლეთში, გამოიწვევს სამიწათმოქმედო ზონების შეცვლას. საფრთხე შეექმნება ყველა იმ სასოფლო სამურნეო კულტურას, რომლის ვეგეტაციის პერიოდი არ დაემთხვევა ზონის კლიმატურ პირობებს. საფრთხე დაემუქრება თავთავიან კულტურებს და გაზის ადგილობრივ ჯიშებსაც.

მსოფლიო თანხმდება იმაზე, რომ კლიმატური დათბობის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ ერთობლივი ძალით. მაქსიმალურად შეამცირონ მავნე გაზების გამომფრქვევი კერები და დაინერგოს ალტერნატიული ტექნიკები.

Тина Чхеидзе

Профессор,

Кетеван Квеладзе

Доктор экономики

Сельское хозяйство Грузии в ожидании глобального потепления

Аннотация

В статье рассмотрены возможность глобального потепления на Земле и связанные с ним проблемы.

По существующим данным рост концентрации "тепловых газов" вызовет глобальное потепление на Земле. Эффект потепления климата будет разным в Западной и Восточной Грузии.

В Западной Грузии похолодаето Температура воздуха понизится на 3⁰C, В следствии чего появится опасность для субтропических растений.

Воды Черного моря похолодают, что отрицательно образится на процессе рыболовства.

В Восточной Грузии потеплеет. Температура повысится на 2⁰C, что, так же, как в Западной Грузии, Вызовет изменение зон земледелия. Появится опасность для тех сельскохозяйственных культур, вегетационный период которых не будет соответствовать климатическим условиям зоны, также для колосовых культур и местных пород винограда.

Весь мир согласается с тем, что против климатического потепления нужно боротся совместными силами, максимально уменьшить очаги выброса вредных газов и внедрить альтернативные технологии.

Tina Chkheidze

Professor

Ketevan Kveladze

Doctor of Economic

AGRICULTURE OF GEORGIA IN EXPECTANCE OF GLOBAL WARMING

Annotation

The article discusses the possibility of global warming and the problems connected with it.

According to existed data the increase of greenhouse gases concentration shall be followed by global warming on the earth. Climate warming effect will be different in West and East Georgia.

In West Georgia will grow cold. Air temperature will fall at about 3 degrees and as a result, subtropical plants will be under risk.

Black sea water will grow cold and have negative influence on fishery.

In East Georgia will get warm. Air temperature will rise at about 2 degrees that will result (as in West Georgia) in the change of farming zones all those agricultural plants the vegetation period of which shall not coincide with climate conditions of the zone will run the risk. Grain crops and endemic sorts of vines will also face danger.

the world agrees that it is necessary to struggle against climate warming by common effort. Maximally decrease the centers emitting harmful gases and introduce alternative technologies.

**თენციზ ქავთარაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**

პირზოგვის სამოვლების გაუმჯობესების გზები საქართველოში

საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლამ, მიწების მასობრივმა პრივატიზებამ, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლამ კასპიისპირეთში 200 ათასი პექტარი საზამთრო საძოვრების დაკარგვამ, გამოიწვია მეცხვარეობის დარგის დიდი დაქვეითება, დაირღვა მთასა და ბარს შორის ეკონომიკური კავშირები. ამან გამოიწია მთის სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია. მაგალითად, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მოსახლეობა დღეისათვის საგრძნობლად შემცირებულია და 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 108,8 ათას კაცს არ აღემატება, რაც საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 2,5 პროცენტს შეადგენს. საგანგაშო მდგომარეობაა ხევსურეთში. იმულებითმა მიგრაციამ კუთხე დაცარიელების ზღვარზე მიიყვანა. 1991 წლის 1 ივნისის მდგომარეობით ხევსურეთის საომო საბჭოში ცხოვრობდა 921 მოსახლე, აქედან ბარისახოს თემში 443, გუდანში 256 და შატილში 223.

მთიან რეგიონებში მიგრაციის უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრის მნიშვნელოვან პირობად მიგაჩნია ტრადიციული მეცხვარეობის განვითარება. ამჟამად მთის სოფლებში მოსახლეობის დამაგრების ძირითად გზად მიჩნეულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლით მოსახლეობის დასაქმება. ეს სამუშაო ძალზე შრომატევადია. ადგილზე ერთ ძროხას საკვებად ერთ წელწადში ჭირდება 5700 კილოგრამი თვა. მთაში, როცა თიბავენ, იქვე აბულულავებენ, ზამთრის პერიოდში კი გაყინულ თოვლზე ჩამოაქვთ დაცურებით. ერთ კაცს შეუძლია ერთი დღის განმავლობაში მთიდან დაცურებით მხოლოდ, ერთი თვის (200 კგ) ჩამოტანა. ე.ი. მთლიანად თვის ჩამოტანას ერთი თვე ჭირდება; თვის დამზადება კი 2-3 თვეს გრძელდება და ხელით სრულდება. მოსახლეობას ურჩევნია მთელი წლის განმავლობაში თავიანთვის და ოჯახისავის საჭირო პროდუქცია და ნივთები დაბლიდან აზიდონ ზურგით ან ცხენით მაღლა მთაში, ვიდრე ხელით მთიდან ჩამოათრიონ თივა, თან ელოდონ თოვლის მოსვლას და პირუტყვის უსაკებოდ დარჩენის საშიშროებას. ამიტომაც მოსახლეობა ადგილზე ბევრი პირუტყვის ყოლას ერიდება. ვაჟა ფშაველას ცნობით, ხევსურ ოჯახ თუ ორი-სამი ძროხა და 20 – თხა ცხვარი მოპოვება, ხევსური მდიდარია. ხევსურეთის ადგილობრივი პირობები მეცხვარეობის განვითარების მეტ შესაძლებლობა იძლეოდა. სამეურნეო ბაზებზე ოჯახს შეეძლო 100-150 – მდე ცხვარი გამოეზამთრებინა. მეცხვარეობის დარგის აღდგენისა და განვითარების თვალსაზრისით აუცილებელია, პირველ რიგში

საზამთრო საძოვრების გამოყოფა და მოვლა-პატრონობა. ამ საქმეში საჭიროა სახელმწიფო წესრიგის დამყარება. [1].

საქართველოს მთიან რაიონებში საზაფხულო საძოვრების საერთო ფართობი 1686,3 ათას ჰექტარს შეადგენს. აღმოსავლეთ საქართველოს საზამთრო და გარდამავალი საძოვრების საერთო ფართობი 427,4 ჰექტარია. აქედან, სამხრეთ მთიანეთის საზაფხულო საძოვრებით მოსარგებლე აღმოსავლეთის დაბლობის რაიონები 201,4 ათას ჰექტარს იყენებენ, მათ შორის დედოფლისწყაროს რაიონი – 36,7, სიღნაღის – 52,0, საგარეჯოს – 26,0, გარდაბნის – 43,8, თეთრიწყაროს – 11,7, მარნეულის – 22,3 და ბოლნისის – 8,9 ათას ჰექტარს. როგორც ვხედავთ, ზამთრის საძოვრები – 3-3,5 -ჯერ ნაკლებია ზაფხულის საძოვრებზე, ამასთან ერთად, ზამთრის საძოვრები შედარებით დაბალმოსავლიანია და უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება.

ზამთრის საძოვრების პირუტყვით გადატვირთვა და მისი არა-რაციონალურად გამოყენების შედეგად ბალახის მოსავლიანობა ძალზე დაბალია; ბალახის საფარი წლითიწლობით უარესდება და საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებელი ხდება. საზაფხულო საძოვრების მესამედი და საზამთრო საძოვრების მეხუთედი ეროზირებულია, დიდი ნაწილი კი დაფარულია შეამიანი და სარეველა ბალახებით. ზოგიერთი საზაფხულო საძოვრის მასივი დიდი კავკასიონის ქედზე არ გამოიყენება მისასვლელი გზების არქონის გამო. საძოვრების არა-რაციონალურმა გამოყენებამ განაპირობა ბუნებრივი საძოვრებისა და სათიბების დაბალი პროდუქტიულობა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას.

რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებების მრავალწლიანმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მარტო მრავალწლიანი ბალახების, განსაკუთრებით კი პარკოსნების შეოსვა ჰექტარ ფართობზე თივის მოსავლიანობას 25-30%-ით, საკვები ერთეულების გამოსავლიანობას შესაბამისად 30-35-ით, ხოლო პროტეინს -50%-ით ადიდებს, იმ მდელოებთან შედარებით, რომელზეც ბალახის თესვას არ აწარმოებენ. სათანადო მასალების შესწავლით ირკვევა, რომ 1 ჰა ზამთრის საძოვრებზე შემოდგომით **N₆₀P₅₀** შეტანით 67,2 ცენტნერი მწვანე მასა მიიღეს, ხოლო **N₃₀P₅₀** შეტანით 51,6 ცენტნერი, ნაცვლად არსებული 30 ცენტნერისა. ცხვრის სადგომებში დაგროვილი 15 ტონა ნაკელის ჰექტარზე შეტანით საძოვრების საშუალო მოსავლიანობა (ხუთი წლის საშუალო მონაცემებით) 62-170%-ით იზრდება.

ბუნებრივ საძოვრებზე სარეველა ბალახების მოსასპობად წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა ქიმიური საშუალებები, კერძოდ, ჰერბიციდებით ჩატარებულ ცდებში გამოყენებული ბუტილისეთერის პრე-

პარატის ორმაგი შესხურება ჰქექტარზე ნარის რაოდენობას 86,5-დან 94%-მდე, დანარჩენ სარეველა ბალახებს კი 90%-მდე ამცირებს.

ცდებით დადგენილია, რომ დაჭაობებული საძოვრების დაშრობა და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება 100-200%-ით ადიდებს ბალახნარის მოსავალს, მორწყვა 100-150%-ით, ბუჩქნარისაგან გაწმენდა - 30-60%-ით, სარეველებისაგან გაწმენდა კი 15-20%-ით. პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდა იმდენად საკვები ერთეულების ღონით არ განისაზღვრება, რამდენადაც მონელებადი პროტეინის ოდგნობით. პროტეინის ნაკლებობა კვების რაციონში როგორც ერთი ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე, ისე ერთ სულ პირუტყვზე გაანგარიშებით საკვების გადახარჯვას იწვევს, ეს კი, თავის მხრივ, პროდუქციის თვითდირებულებას ზრდის და წარმოების ეფექტურობას ამცირებს.

მეცხვარეობის იმ ორგანიზაციული ფორმის პირობებში, რომელსაც ჩვენ ახლა ვიხილავთ, ცხვრის წლიური მოხმარებული საკვების სტრუქტურაში საძოვრული საკვები 71,1 პროცენტს შეადგენს, ხოლო დამატებითი საკვები 25,2 პროცენტს. ამიტომაც მეცხვარეობის ინფრასტრუქტურაში საძოვრების გამოყენების საკითხი დიდად მნიშვნელოვანია. ძველად არსებობდა საძოვრების გამოყენების გონივრული იმფრასტრუქტურული სისტემები. ამჟამად, მათი სრული აღდგენა ძალზე ძნელია, რადგან მათ შესახებ მთხოვთ ცოტა ვინმე დარჩა, ხოლო წერილობითაც, ცოტა რამ მოგვეპოვება. ამიტომ, მათი გამოვლინების სიძნელის მიუხედავად, რაღაც უნდა ვიღონოთ, მართალია, რამდენადმე დახმარებას გაგვიწევდა საძოვრების საიჯარო საარქივო მასალები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ძველად წარმოებული გამოკვლევები, მაგრამ ეს მასალები ჩვენთვის სადღეისოდ მიუწვდენელია. ძველად არსებული საძოვრების გამოყენების სისტემებზე გავლენა უნდა მოქმედინა მეცხვარეობის მეურნეობების სიდიდეს; მსხვილი ფარების მიერ საძოვრების გამოყენების ინფრასტრუქტურული სისტემები შედარებით მეტი რაციონალური შინაარსით ხასიათდება. მაგრამ მცირე ფერმერულ მეურნეობას მსხვილ მეურნეობებთან შედარებით საძოვრების გამოყენების საქმეში უპირატესობა გააჩნია, მეტი მოქნილობა და საძოვრების მეტი გამოყენების უნარი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ საძოვრების გამოყენების სისტემების ჩამოყალიბებაზე მეცხვარეების გამოცდილებასა და უნარიან ხელმძღვანელობასაც უნდა ჰქონდა გავლენა.

ცნობილია, რომ ჩვენი საზამთრო საძოვრები წარმოადგენს ნახევარუდაბნოებს, ნახევრად ველისა და ველის მცენარეულ დაჯგუფებებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა საძოვარი მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ოთხი სახის საძოვრული მარაგით; შემოდგომით ძირითადად შემოდგომის ერთწლიანების სახით, ზამთარში – ზაფხულის

ვებგვარით ეგრეთწოდებული ხორაგი, მათ შორის აბზინდა მლაშობურებით, ადრე გაზაფხულზე – უროსა და ველის მცენარეულობით. მცენარეულის ადნიშნულ მარაგს ჩვენი გონიერი მეცხვარე შესაბამისად იყენებდა და საზამთრო საძოვრების გამოყენების სისტემაც იმაში მდგომარეობდა, რომ მას ერთი და იგივე ადგილი გამოეყენებინა სეზონური მცენარეული მარაგის მიხედვით:

1) შემოდგომაზე – საშემოდგომო ერთწლიანების სიმწვანეს ცხვარი წიწვიდა, ხოლო ზამთრის ხორაგს პირს არ დააკარებდა; 2) ზამთარში – ხორაგი – მათ შორის ყინვებით დავარგებული აბზინდა-მლაშობურები უკვე დიდი კვებითი დირებულებით გამოირჩეოდნენ; 3) ადრე გაზაფხულზე-ეფექტურებისა და ეფექტუროიტების სიმწვანე; 4) ბოლოს, ურო და ველის მცენარეული.

საძოვრების სიუხვისა და მაღალი მოსავლიანობის მიუხედავად, საზამთრო საძოვრების გამოყენება მტკიცედ იყო განსაზღვრული 150 დღით. მთიდან ჩამოსულ ცხვარს დეკემბრანდე საზამთრო საძოვარს არ აკარგებდნენ. ჯერ ნაწვერალებს მოატარებდნენ, მერე ვენახებსა და ბადებს, შემდეგ სოფლის სანახიროებს და მხოლოდ ნოემბრის ბოლოს საზამთრო საძოვრებზე ჩააყენებდნენ. ასევე, საზამთრო საძოვრებიდან აპრილში გამოყავდათ. ჯერ ახლო-მახლო გარდამავალ საძოვრებზე აიყვანდნენ: ელდარ-სამუხიდან – შირაქსა და ივრის თავებზე, დონდუზ-დარიდან – იოლმუდანლოს სოფლის საძოვრებზე, კარადუზიდან – უდაბნოზე, სარგანიდან – იალღუჯაზე და ა.შ. ამის შემდეგ ცხვარს მთისაკენ წაიყვანდნენ და თრიალეთის გარდამავალ საძოვრებზე შეაჩერებდნენ. ბოლოს ივნისის პირველ რიცხვებში მთაში – ჯავახეთ-მესხეთში – ავიდოდნენ. მაგრამ მეცხვარეები მთაში ერთბაშად არ შედიოდნენ და ცხვარს ჯერ საბაროებში ამყოფებდნენ, როდესაც მთა მზად გახდებოდა ცხვრის მისაღებად – თოვლი ჩამოდნებოდა, ბალახი საკმაოდ წამოიწევდა ჰაერი გათბებოდა, მხოლოდ მაშინ ცხვარს მთის საძოვრებზე სუბალპურ და ალპურ ზონაში აიყვანდნენ ხოლო ბატკანს დედებისაგან ასხლეტავდნენ და მაღალ ალპურ ზონაში საბატკნეში მოათავსებდნენ, მთაში ცხვარს სექტემბრის ბოლომდე ამყოფებდნენ.

ახლა მთის საძოვრების გამოყენების შესახებ. ბარში თუ საძოვრების გამოყენება მათი სეზონური მცენარეულის მარაგით ისაზღვრებოდა, მთაში საძოვრების გამოყენება საძოვარზე მცენარეულის გაძოვება აღდგენის საფუძველზე ხდებოდა, რაც საძოვრის რამდენიმე ნაკვეთად გამოყოფით იწყებოდა. ამიტომ საძოვრების გამოყენება წარმოებდა, მართალია, მცირე როდენობის ნაკვეთებში, მაგრამ მაინც ნაკვეთმორიგეობის საფუძველზე მათი გაძოვება აღდგენის მორიგეობითი შემოვლით ორმოცი-სამოცი დღის შუალედებით ანუ ზაფხულის მანილზე 2-3 როტაციით. საბატკნეს იგივე წესით იყენებდნენ.

მთის საძოვრების გონივრულად გამოყენების მიზნით, მეცხვარე მწყემსები ცდილობდნენ, პქონოდათ ცხვრისათვის სამი სახის საძოვარი: 1) საბარო-მთაში ასვლის პირველი პერიოდის მოკლევადიანი მოხმარების საძოვარი, ვიდრე მთის მუდმივი მოხმარების საძოვარი თოვლიანობის, სიცივისა და უბალახობის გამო ჯერ მისაძგომი არ იყო, აქვე ჩამოჰყავდათ ბატკანი გაპარსევის შემდეგ; მეცხვარეები ხშირად საბაროებად მორიგეობის საფუძველზე მოსახლეობის სავარგულებს იყენებდნენ; 2) ძირითადი—სუბალპებსა და ალპურ ზონაში გაადგილებული სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული საძოვრები; ამ საძოვრებს მეცხვარე იყენებდა ივნისს-სექტემბრის ვადებში; ამ საძოვრებზე, სადგომის ახლოს, გამოყოფილი პქონდათ აგრეთვე ეგრეთწოდებული სამი ყორული, რომელსაც მეცხვარე სადამოობით მოკლე ვადით იყენებდა ცხვრის ყველაზე ძვირფასი სულადობისათვის; 3) საბატკნე— ესეც იჯარით აღებული მაღალალპური საძოვარია, რომელსაც მხოლოდ ბატკნისათვის იყენებდნენ მისი დედისაგან ასხლების შემდეგ, ვიდრე პარსევამდე, დაახლოებით 60-70 დღეს.

ძველად ძირითადი საძოვრები იჯარით ხანგრძლივად იყო მიმაგრებული მომხმარებლებზე, ამიტომ მომხმარებელი უგლიდა საძოვრებს, ცდილობდა შეენახა საძოვრის კეთილბალახის შემადგენლობა და მოსავლიანობა. ზრუნავდა საძოვრების წყლით მომარაგებაზე-გამოჰყავდა რუებით წყალი, აკეთებდა გუბეებს, იცავდა წყაროებს, წმენდავდა ჭაობებს და სხვა. ბინაზე აკეთებდა ქვიტკირის ბაკებს, ქოხებს, რაც, როგორც ვხედავთ სადღეისოდ ჩვენთვის დიდი განძია. ერთი სიტყვით, მოიჯარე მომხმარებელი ყოველი საშუალებებით ცდილობდა კარგად შეენახა და ზომიერად გამოეყენებინა მასზე გაპიროვნებული საძოვარი, რადგან იცოდა, რომ საძოვრის გადატვირთვა და მტაცებლური გამოეყენება მაღალ გამოაცლიდა მას არსებობის საშუალებას.

ამჟამად საძოვრების გამოყენება უარესობისაკენ შეიცვალა გარდა-მავალი საძოვრების, ნაწვერალების ბაღ-ვენახების, სოფლის სანახიროებისა და სხვა საძოვრული სავარგულების გამოთიშვის შემდეგ ძირითადი საძოვრების გამოყენება ძალზე გაძნელდა, საძოვრები ძალზე გადაიტვირთა; საძოვრების განაწილება ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ მომხმარებელთა უმრავლესობის საძოვრების მრავალნაკვეთიანობა აღმოჩნდა დაშორებული ასი, ორასი კილომეტრით და მეტი მანძილით ერთიმეორისაგან. მაგალითად წითელწყაროს რაიონის არბოშიკის კოლმეურნეობას საზაფხულო საძოვარი ემაგრებოდა ნიალაზე (ასპინძია რაიონი), შავნაბადა-თავკვეთილასთან (ბორჯომის რაიონი), ხევსურეთსა და ჯავის რაიონში და სხვა. საძოვრების უმრავლესობა განაწილებული იყო ზონალობის გათვალისწინების გარეშე. დღეს ჩვენ არ ვიცით საქართველოს მეცხვარეობის მიერ საძოვრების გამოყენების მდგომა-

აზრობრივი მოდელის თავისებურება ისიცაა, რომ იგი არ მოითხოვს მკაცრ ფორმულირებას და ისიცაა დამახასიათებელი, რომ ერთი პირის მოდელს ადამიანი აზრობრივად სწრაფად გარდაქმნის და თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მას. ეს კი ანალოგიაა უცნობის ნაცნობი ფორმით წარმოდგენასთან, რომელიც ცნობილია, როგორც მოდელირება, რომელიც მათემატიკურ სიმბოლოებში უფრო მეტი სიძლიერით წარმოაჩენს ეკონომიკური პროცესის არსებით ნაწილს, რაც იმის შესაძლებლობას ქმნის, რომ, მაგალითად, როგორც ამჟამად ფიზიკის მეცნიერებაა, ასევე ეკონომიკაც წარმოაჩინონ მათემატიზირებულ მეცნიერებად, ჩაატარონ მათემატიკური გარდაქმნები და ეკონომიკური მოვლენის შესახებ, საჭიროებისამებრ, მიღებულ იქნას ახალი ინფორმაცია.

უურადსაღებია, რომ აზრობრივი მოდელირების გამოყენების პროცესში გამოიყოფა ერთი ან რამდენიმე „საბაზო” მოდელი, რომლის ვარირება ადვილად შეიძლება შინაარსით შედარებით მდგრადი სხვა-დასხვა შემთხვევის მიმართ, მოვლენის სიღრმეში ჩაწვდომა და სხვა-დასხვა მანიპულაციებით კვლევის ჩატარებით. ასეთი თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ წრფივობის მიხედვით სატრანსპორტო და წარ-მოების ოპტიმალური დაგეგმვის ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანა და, იმავდროულად, მისი მოდელიც და მოდელირების მეთოდიც.

3. წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანის ახლებური ინტერპრეტაცია. იგი ნიშნავს მოცემული საწარმოო რესურსებისა და ტექნოლოგიის პირობებში გამოშვებულ იქნეს პროდუქცია. ამ შემთხვევაში, იგულისხმება, რომ ცნობილია, თუ რა მოცულობით არის საჭირო ყოველი რესურსი (მათ შორის შრომა), როცა რესურსის შეზღუდული რაოდენობის მოცულობაზე ინფორმაცია მოცემულია, ბაზარზე თუ რა მოგებას იძლევა ყოველი პროდუქციის მოცულობის ერთეული. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განისაზღვროს, თუ რა მოცულობით იქნეს გამოშვებული ყოველი პროდუქცია, რომ საწარმოს მოგება იყოს მაქსიმალური [5, გვ. 206-201].

აზრობრივი მოდელირების შესაბამისად, ამოცანა კიდევ უფრო მარტივი რომ დარჩეს, დავუშვათ, რომ ვინიდავთ წრფივი დაპროგრამების სტანდარტული სახის პირდაპირ და ორად ამოცანებს, სადაც რესურსების ორადი შეფასებებია $\lambda = (\lambda_1, \lambda_2, \dots, \lambda_m)$, ხოლო m რესურსის რიცხვია. პროდუქციის სიმრავლე აღნიშნულია $\chi = (\chi_1, \chi_2, \dots, \chi_n)$ -ით, სადაც n პროდუქციითა საერთო რიცხვია. $C(\chi)$ -ით აღნიშნულია წარმოების მიერ რესურსების გარდაქმნით მიღებული შემოსავალი, ხოლო $b(\lambda)$ არის ყველა რესურსით საერთო დანახარჯები შეფასებით ერთეულებში.

მათემატიკურ-კიბერნეტიკული აზროვნებით, განვიხილოთ წარმოების პროცესი, როგორც საწარმოო რესურსების მიზანდასახულად ტექნოლოგიური გარდაქმნა პროდუქციად, რომლის რეალიზაციის შედეგად მივიღებთ $C(\chi)$ -ით აღნიშნულ შემოსავალს, ხოლო საწარმოო რესურსების შესაძლებლობა აღნიშნულია $b(\lambda)$ -ით, მაშინ შეგვეძლება ვიმსჯელოთ გარდაქმნებით: პირველ ეტაპზე $b(\lambda)$ რესურსების დანახარჯების ორადი შეფასების განსაზღვრა; მეორე ეტაპზე ტექნოლოგიური პროცესის ჩატარება (პროდუქციითა მიღება); მესამე ეტაპზე $C(\chi)$ შემოსავლის მიღება და მისი ანალიზი. ასეთი გარდაქმნისათვის დამახასიათებელია უტოლობა $b(\lambda) \geq C(\chi)$ -ზე, ხოლო, როცა $b(\lambda) = C(\chi)$, იგი წონასწორობის პირობაა.

თუკი ასეთ გარდაქმნას განვიხილავთ საწარმოო რესურსებისა და პროდუქციის დეფიციტურობის პირობებში, რომელიც დამახასიათებელი იყო ყოფილი საბჭოთა კაფშირის მბრძანებლური ეკონომიკისათვის და, შესაბამისად, წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანით ვიმსჯელებთ, აღმოვჩნდებით წინააღმდეგობრიობაში, თითქოს ჩავატარეთ გარდაქმნა და რესურსებიდან მივიღეთ მოგება. ამ წინააღმდეგობას შეცდომით ხოლმე მიაწერდნენ ფასწარმოქმნის პრობლემას.

რესურსებზე ტექნოლოგიური გარდაქმნით მიიღება თ რაოდენობის პროდუქცია. ოპტიმალურ გარდაქმნას შემდეგი ინტერპრეტაცია აქვს: საწარმოო რესურსებიდან საჭირო რაოდენობით პროდუქციის ოპტიმალური გამოშვება ანალოგია ენერგიის მუდმივობის კანონის, რომლის თანახმად, რესურსების ოპტენციური ენერგია პროდუქციათა კინეტიკურ ენერგიად გარდაიქმნება. შედეგად რა მოვიგეთ? აღნიშნულზე ჩვენი პასუხი შემდეგია - შედეგად საჭირო რაოდენობით პროდუქცია მივიღეთ. ასეთ ინტერპრეტაციას მხოლოდ აბსტრაქტული შეფასება გვაძლევს. სინამდვილე მიახლოებაა და, ამის მიუხედავად, ორადობის თეორიის გამოყენება მაინც აუცილებელია.

4. აზრობრივი მოდელირება დინამიკური პროცესის შესაბამისი დინამიკური მოდელი წარმოვადგინოთ თანმიმდევრულად გამოყოფილი და ერთმანეთთან დაკავშირებული მიზანთა სის გამოყენებით და გარკვეული ქსელით, რომელშიც ასახულია ერთი ტრანსპორტის (როგორც მატერიალური წერტილის) მოძრაობა პუნქტების გავლით არაუმეტეს ერთი შემთხვევისა. ყოველი პუნქტიდან სხვა პუნქტი მოძრაობის დრო მეტწილად მოცემულია, ასევე ცნობილია ყოველ პუნქტში ტრანსპორტის გაჩერების აუცილებელი დროის ხანგრძლივობა. საჭიროა დადგინდეს ქსელის საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე ტრანსპორტის მოძრაობის ისეთი მარშრუტი, რომ ყოველ პუნქტში (სადაც მოხვდება ტრანსპორტი), იგი იძულებულია გაჩერდეს გარკვეული დროის განმავლობაში. ხოლო პუნქტიდან პუნქტში ტრანსპორტის გადაადგილების დროთა ჯამი მინიმალური უნდა გახდეს. ხდება მარშრუტის ვარიანტის შერჩევა ორი ვარიანტით: პირველი, თანმიმდევრული გადარჩევა საწყისიდან საბოლოო პუნქტისაკენ; მეორე შემთხვევაში გადარჩევა იწყება საბოლოო პუნქტიდან საწყისისაკენ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობის შესაბამისად მონაცემების დაზუსტება თანდათანობით სწარმოებს, ეკონომისტები მეტწილად ოპტიმალურ მარშრუტად პირველ შემთხვევას ირჩევენ. ხოლო, როცა მონაცემები სრულია, მაშინ მათემატიკური აზროვნება განაპირობებს გადარჩევას მეორე ვარიანტით. ასეთია ამ შემთხვევათა აზრობრივი ხედვა.

5. ჩვენი გარემო ფართო სპექტრით დახასიათების საშუალებას იძლევა. სამყაროს სახე, და რომლითაც ვართ გარშემორტყმული, თეორიული მოდელია. იგი ჩვენს წარმოდგენაში არსებული და ბუნებაში მიმდინარე ანალოგიებით არის ადამიანის მიერ გათვითცნობიერებული. შევნიშნავთ, რომ აზრობრივი მოდელის ანალოგიურია ე.წ. “სტენდური” მოდელი [6].

6. აზრობრივი მოდელირება მკვლევარის შემოქმედებაში. იგი მიზანმიმართული მეთოდია (გამარტივებულად მიღებამა), რომელიც საკვლევ ობიექტს გამჭვირვალედ წარმოადგენს, მსჯელობს იმ საშუალებით, რასაც მკვლევარი დაუფლებულია (ეს შეიძლება კომპიუტერიც კი იყოს). ელემენტარული საწყისებით, ეს ინჟინრისათვის ნახაზია, მუსიკოსისათვის - ნოტი, მათემატიკოსისათვის - ფორმულები, განტოლებები, უტოლობები და ა.შ. ეკონომიკაში აზრობრივი მოდელირება სტატისტიკური მონაცემების ანალიზით იწყება და იგულისხმება, რომ კვლევა ეკონომიკურ მოვლენას ეხება.

7. კიბერნეტიკული ანალოგით წარმოვიდგინოთ ზღვა, როგორც ცალკეული წყლის წევთებით ორგანულად გაერთიანებული სინერგიული ენერგიის შემკრები პოტენციალური ენერგიის მატარებელი, რომელიც გარემომ მას მიანიჭა. ამაზე ზემოქმედებს შემთხვევითი ფაქტორები, რომლებიც, ალბათური ბუნებით, რისკის წინაშე გვაყენებს. ეს ეხება ქარისა და მზის ენერგიის მოქმედებას, როდესაც იქმნება სინერგიული ენერგიის მატარებელი დიდი ენერგიის წყარო, რომელიც კაცობრიობას ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გამოუყენებია. ამის მსგავსად, შეიძლება წარმოვიდგინოთ ცალკეული ადამიანი, როგორც ზღვის წვეთი, ხოლო ადამიანთა კოლონსალური რაოდენობა რეგიონში უდიდესი სინერგიის მატარებელი მასა, რომლებიც აზრობრივი მოდელირებით შეძლებენ ადამიანთა სინერგიული დონის ერთობა დააყენონ სიკეთის მომტან გზაზე, მაგალითად, კეთილსინდისიერი შრომით პროდუქციის შექმნა დემოკრატიულ სახელმწიფოში გადაზარდონ უხვი დოკუმენტის გამოშვებაზე, რომელსაც მოსახლეობის პატრიოტიზმი კიდევ უფრო აძლიერებს და დიდ (შეიძლება კოლონსალურ) ძალას აძლევს.

დასკვნისათვის. აზრობრივ მოდელირებას, როგორც კვლევის მექანიზმს ეკონომიკაში, თანმიმდევრული სქემებით წარმოვადგენო:

1. საკვლევი ობიექტის (ან პროცესის) შესახებ სტატისტიკური მონაცემებით ეკონომიკური ანალიზის ჩატარება და შესაბამისი აზრობრივი ანალოგის შერჩევა, რომლის საშუალებით ჩატარდება მსჯელობა, დასკვნები მიიღება, შემუშავდება წინადადებები და ა.შ. (მოსალოდნელია, რომ კვლევა ამ საფეხურზე შეჩერდეს);

2. ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანის დასმა, მოდელის შედენა და მათი საშუალებით გამოთვლების, ხოლო შემდგომ ანალიზის

ჩატარება, ახალი ინფორმაციის მიღება საკვლევი ობიექტის შემდგომი ანალიზისათვის;

3. ეკონომიკური პროგნოზირება, ექსტრაპოლაციის მეთოდიდან დაწყებული, საკვლევ ობიექტზე საშუალოვადიანი პროგნოზების შემუშავება;

4. სრული სპექტრის აზრობრივი ელემენტების შემოყვანა [7, გვ. 171-185], რისკის პირობებში გადაწყვეტილების მიღებაზე მსჯელობა;

5. რისკის გათვალისწინებით, გრძელვადიანი ეკონომიკური პროგნოზების მიღება და ანალიზის ჩატარება [7, გვ. 185-196].

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. სარჩიმელია. მათემატიკური მეთოდების გამოყენების თავისებურებანი ეკონომიკის მათემატიზირებულ მეცნიერებად ფორმირების საწყის ეტაპზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი I. თბილისი, „მეცნიერება“, 2000.
2. გ. წერეთელი. ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების მეთოდოლოგიური საფუძვლები და მათი რეალიზაციის პრაქტიკული მაგალითები. თბილისი, „მეცნიერება“, 2000.
3. რ. სარჩიმელია. ეკონომიკის პროცესების აზროვნებითი მოდელი, როგორც სცენარი. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე (8-9 ივლისი, 2010), თბილისი, 2010, გვ. 243-246.
4. ჯ. ფორესტერი. მსოფლიო დინამიკა. მოსკოვი, „მეცნიერება“, 1978 (თარგმანი ინგლისურიდან რუსულ ენაზე ფორესტერ ჯ. მировая динамика).
5. რ. სარჩიმელია. მ. ქებურია. ოპერაციათა გამოკვლევა ეკონომეტრიკის ელემენტებით. თბილისი, ინტელექტი, 2005.
6. Проблемы стендового моделирования экономических объектов. - Москва, Центральный экономико-математический институт, 1987.
7. რ. აბესაძე, რ. სარჩიმელია, ნ. არევაძე, შ. მელაშვილი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. – თბილისი, "უნივერსალი", 2004.

**როლანდ სარჩიმელია
გეონომიკურ მუცნიურებათა დოქტორი, ფშვ კან-ტი, პროფესორი
რევაზ ლორთქიფანიძე
გეონომიკურ მუცნიურებათა დოქტორი, პროფესორი**

**აზორბრივი მოდელირების დაფუძნებისათვის
საქართველოს ეკონომიკაში
ანოტაცია**

დახასიათებულია ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული მიმართულების თავისებურება აზრობრივ მოდელირებაში, სადაც ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევა სპეციალიზებული ენის შექმნის პირობებსაც ქმნის.

დასმულია წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანა, რომლის ახლებური ინტერპრეტაცია ემყარება საწარმოო რესურსების ორადი შეფასებიდან პროდუქციიდან შემოსავლის მაქსიმუმის მიღებას. აზრობრივი მოდელირება, როგორც მეთოდი, განხილულია დინამიკასა და მკვლევარის შემოქმედებაში.

Роланд Сарчимелия

*Доктор экономических наук, кандидат
Физико-математических наук, профессор*

Реваз Лордкипаниძе

Доктор экономических наук, профессор

Для обоснования стендового моделирования

в экономике Грузии

Аннотация

В работе характеризуется специфика математическо-кибернетического направления в стендовом моделировании, где экономико-математическое исследование создает условия разработки специализированного языка.

Авторы предполагают задачу оптимального планирования производства, новая интерпретация которой основана от двойственной природы оценки производственных ресурсов к получению максимального дохода продукции. Стендовое моделирование, как метод, рассматривается в динамике и творчестве исследователя.

Roland Sarchimelia

*Doctor of Economic Sciences, Candidate of
Physical-Mathematical Sciences, Professor*

Revaz Lordkipanidze

Doctor of Economic Sciences, Professor

**FOR ESTABLISHMENT OF SEMANTIC MODELING
IN ECONOMY OF GEORGIA**

Annotation

In work characterized specifics of mathematical-cybernetic direction in semantic modeling, where economic-mathematical research is creating the conditions for the creation of specialized language.

Authors worked out task of optimal production planning, which is based on new interpretation about dual nature of production resources evaluation to receive of maximum income. Semantic modeling as a method that examines in dynamics and creativity of researcher.

მარკეტინგი

ლევან ლაზარიშვილი
ახორციელებული პროფესორი
ბაზრის სემინარის მოღვაწეი და მარკეტინგული
ბაზარიზაციის მოღვაწეი

კომპანია მარკეტინგულ პრაქტიკაში იყენებს მიზნობრივი ბაზრის ისეთ მოდელებს, როგორიცაა: მაღისხმევის კონცენტრაცია ერთადერთ სეგმენტზე, არჩევითი სპეციალიზაცია, სასაქონლო სპეციალიზაცია, საბაზრო სპეციალიზაცია და ბაზრის სრული მოცვა. კონცენტრირებული მარკეტინგის განხორციელება საშუალებას იძლევა მკაფიოდ იქნეს შეფასებული სეგმენტის მოთხოვნილებები. ფირმას შეუძლია გაწიოს ეკონომიკური სპეციალიზაციის, დისტრიბუციის და იმიჯის განვითარების ხარჯზე. არჩეულ სეგმენტზე ლიდერული მდგომარეობის დაკავებით კომპანია ორიენტირებულია ინვესტიციების რენტაბელობის გადიდებაზე. ამასთან კონცენტრირებული მარკეტინგი ითვალისწინებს რისკის გარკვეულ დონეს. შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ გარემოებას, რომ არჩეულმა საბაზრო სეგმენტმა დაკარგოს ინტერესი კომპანიის საქონლისადმი, ან აღნიშნულ სეგმენტს შეექმნას ახალი კონკურენტის გამოჩენის საფრთხე. გამომდინარე აქტივის, კომპანიების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ერთზე მეტ სეგმენტზე მუშაობას. იზოლირებულ საბაზრო სეგმენტში ალტერნატიულ გზას წარმოადგენს სუპერსეგმენტში საქმიანობა.

	ბაზარი 1	ბაზარი 2	ბაზარი 3
პროდუქტი 1			
პროდუქტი 2		❖	
პროდუქტი 3			

თუ კომპანიის საქმიანობა ეყრდნობა მიზნობრივი სეგმენტის მოდელს – არჩევით სპეციალიზაციას, მაშინ ასეთ შემთხვევაში ორგანიზაცია ირჩევს რამდენიმე მიმზიდველ საბაზრო სეგმენტს დაწესებული მიზნების და საკუთრებაში არსებული რესურსების გათვალისწინებით. ცალკეულმა მიზნობრივმა სეგმენტმა უნდა უზრუნველყოს კომპანიის-თვის სტაბილური შემოსავალი. რამდენიმე სეგმენტის

ერთდროულად მოცვის სტრატეგია ფირმას აძლევს შესაძლებლობას გაანაწილოს რისკი რამდენიმე მიმართულებით.

	ბაზარი 1	ბაზარი 2	ბაზარი 3
პროდუქტი 1		❖	
პროდუქტი 2	❖		
პროდუქტი 3			❖

სასაქონლო სპეციალიზაციის მოდელი გულისხმობს, რომ ორგანიზაცია ძალისხმევის კონცენტრაციას ახდენს ერთი საქონლის გამოშვებაზე და ადნიშნულ საქონელს სთავაზობს რამდენიმე საბაზრო სეგმენტს. ამ დროს კომპანია ცდილობს მოიპოვოს საიმედო მომწოდებლის რეპუტაცია. ასეთი მიღებისას ყოველთვის არსებობს რისკი, რომ მისი საქონელი ბაზრიდან იქნება განდევნილი უფრო სრულყოფილი საქონლის მიერ, ანუ ბაზარზე შემოვა უფრო მწარმოებლური კონკურენტი, რომელიც იყენებს ინოვაციურ შესაძლებლობებს.

	ბაზარი 1	ბაზარი 2	ბაზარი 3
პროდუქტი 1			
პროდუქტი 2	❖	❖	❖
პროდუქტი 3			

საბაზრო სპეციალიზაციის დროს კომპანიები კონცენტრირებული არიან სხვადასხვა საბაზრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ამ დროს კომპანია ცდილობს დაიკავოს ძლიერი პოზიცია არჩეულ საბაზრო სეგმენტზე. მაგრამ ასეთი მიღებომისას არსებობს რისკი, რომ მომხმარებლების ბიუჯეტის შემცირების შემთხვევაში ისინი უარს იტუვიან მოცემული მომწოდებლის მოქსახურებაზე.

	ბაზარი 1	ბაზარი 2	ბაზარი 3
პროდუქტი 1			❖
პროდუქტი 2			❖
პროდუქტი 3			❖

ბაზრის სრული მოცვის მოდელის არჩევის დროს კომპანია ცდოლობს მომხმარებლების ყველა ჯგუფს მიაწოდოს ყველა აუცილებელი საქონელი. მთელი ბაზრის მოცვის სტრატეგიის რეალიზაცია შეუძლიათ მხოლოდ მსხვილ კომპანიებს.

მარკეტინგული კვლევებისა და სარეკლამო ხარჯების შემცირებისა. ცხადია, იმისათვის რომ კომპანიამ დაიკავოს ფასისადმი მგრძნობიარე საბაზო სეგმენტები, მან უნდა მოახდინოს დაბალი დანახარჯების ტრანსფორმაცია მომხმარებლებისათვის დაბალ ფასში. დიფერენცირებული მარკეტინგის სტრატეგია კი ითვალისწინებს კომპანიის მიერ რამდენიმე საბაზო სეგმენტის ათვისებას და თითოეული ბაზრისთვის მუშავდება ცალკეული მარკეტინგული პროგრამა. დიფერენცირებული მარკეტინგის სტრატეგია საშუალება იძლევა მიღწეული იქნეს გაყიდვების მაღალი მოცულობა, მაგრამ ამასთან ერთად იზრდება დანახარჯები საქონლის მოდიფიკაციაზე, ადმინისტრაციაზე, სასაქონლო-მარაგების შენახვასა და იმიჯის განვითარების დონისძიებებზე.

	ბაზარი 1	ბაზარი 2	ბაზარი 3
პროდუქტი 1	❖	❖	❖
პროდუქტი 2	❖	❖	❖
პროდუქტი 3	❖	❖	❖

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არადიფერენცირებული მარკეტინგის სტრატეგიას მიმართავენ საერთაშორისი კომპანიები, რომლებიც ცნობილნი არიან როგორც გეოცენტრული კომპანიები, ხოლო დიფერენცირებული მარკეტინგის სტრატეგიის მიმდევარი უცხოური კომპანიები ცნობილნი არიან პოლიცენტრული

კომპანიების სახელით. აღნიშნული საერთაშორისო კომპანიების გვერდით განიხილება ეთნოცენტრული კომპანიები, რომლებიც პირველ რიგში ორიენტირებულნი არიან შიდა ბაზრის გაფართოებაზე, ხოლო შემდეგ საქონლის ექსპორტს ახორციელებენ იმ სახელმწიფოებში, სადაც არის მსგავსი მოთხოვნილება მათ საქონელზე. ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტე ფუნქციონირებისას ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები, რაც მისცემს მათ საშუალებას, მიიღონ დასაბუთებული მარკეტინგული გადაწყვეტილებები. 1. საქონლის სასიცოცხლო ციკლის ცალკეული ეტაპების მიხედვით – გაყიდვების მოცულობა, დანახარჯების დონე, მყიდველები და კონკურენტების რიცხოვნობა. მყიდველების დეკომპოზიციაზე საუბრისას გამოიყოფა მათი შემდეგი ტიპები: საწყის ეტაპზე ისინი არიან ნოვატორები, შემდეგ ხდება მათი ტრანსფორმაცია ადრეული და გვიანი უმრავლესობის მყიდველებში და ბოლოს მყიდველები ხდებიან ინერტულები.

მარკეტინგის მიზანს საწყის ეტაპზე წარმოადგენს ინფორმირება საქონლის შესახებ და გაყიდვების სტიმულირება. გაყიდვების რაოდგნობის ზრდის პარალელურად მარკეტინგის მიზანი ხდება ბაზრის წილის მაქსიმიზაცია. როცა გაყიდვების მოცულობა არის ოპტიმალური, მარკეტინგის მიზანი ხდება მოგების მაქსიმიზაცია ბაზრის წილის

შენარჩუნების კვალდაკვალ. კლებადი გაყიდვების საფუძველზე კომპანია მიზნად ისახავს ხარჯების შემცირებას და დარჩენილი მოგების უკუგებას, ანუ “ მოსავლის ადებას ”.

საქონელთან მიმართებაში კომპანია ახორციელებს შემდეგ მარკეტინგულ სტრატეგიებს: საბაზო მარკეტინგს (კომპანია ახორციელებს წარმოებული საქონლის რეალიზაციას), რეაქციულ მარკეტინგს (კომპანია ყიდის საქონელს და საშუალებას აძლევს მათ მიმართონ კომპანიას რეკლამაციის არსებობის შემთხვევაში), პასუხისმგებლურ მარკეტინგს (კომპანია თვითონ ინტერესდება, თუ რამდენად არის კმაყოფილი მომხმარებელი საქონლის ხარისხით, ანუ რამდენად გამართდა მისი მოლოდინი, ამასთან გაიგებს მათ წინადაღებებს უფრო სრულყოფილი საქონლისა და სერვისის შესახებ), პროგრესული მარკეტინგს (კომპანია დროთა განმავლობაში მიმართავს მომხმარებლებს უფრო სრულყოფილი

კომერციული წინადაღებით), პარტნიორულ მარკეტინგს (კომპანია თანამშრომლობს მსხვილ მომხმარებლებთან – “ მომხმარებელთა კლუბი ”). კომპანია მარკეტინგულ გადაწყვეტილებას იღებს სელექციურ და ინტენსიურ დისტრიბუციასთან, სარეკლამო კამპანიებასთან და გაყიდვების სტიმულირებასთან მიმართებაში.

**ლევან ლაზარიშვილი
ახორციელებული პროფესორი**

**ბაზრის სეზონური მოდელები და მარკეტინგული
გადაწყვეტილებები**

ანოტაცია

სტატიაში გადმოცემულია მიზნობრივი სეგმენტის არჩევის თანამედროვე მოდელები: ძალების კონცენტრაცია ერთადერთ სეგმენტზე, არჩევითი სპეციალიზაცია, სასაქონლო და საბაზრო სპეციალიზაცია, ბაზრის სრული მოცვა. დახასიათებულია პოლიცენტრული და გეოცენტრული კომპანიების საქმიანობა. უურადღება გამახვილებულია მარკეტინგული ურთიერთობების ტიპოლოგიზაციაზე, მარკეტინგულ ღონისძიებებსა და სტრატეგიებზე.

*Леван Лазвиашвили
Ассоциированный профессор*

МОДЕЛЫ СЕГМЕНТИРОВАНИЯ РЫНКА И МАРКЕТИНГОВЫЕ РЕШЕНИЯ

Аннотация

В статье изложены современные модели сегментов рынка- концентрация сил на единственном сегменте. Избирательная – товарная и рыночная специализация полный охват рынка. Отмечена деятельность полицентрических и геоцентрических компаний. Внимание уделено на маркетинговые отношения и на маркетинговые стратегии.

Levan Lazviashvili

Associated Professor

BASE SEGMENTATION MODELS AND MARKETING DECISIONS

Annotation

In article is set out contemporary models of choosing the target segment: Concentration of forces on single segment, optional specialization, commodity and market specialization, market es full coverage. Also is described activity of polycentric and geocentric companies, attention is on tipologization of marketing relationship, marketing events and strategies.

მაბისტრანციალისა და დოკუმენტაციის სამეცნიერო ნაშრომები

დავით ასლანიშვილი

თხუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ფინანსებისა და საბაზო საქმის კათედრის ასისტენტი
საქართველოს საპატიოარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

**საზონდო გაზარი საქართველოში: არსებული რეალიები და
მომავალი**

ქვეყნის განვითარება, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და საერთო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება პირდაპირ გავშირშია გაპიტალის ბაზრის განვითარებასთან. ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ერთ-ერთი რეალური ბერკეტია ინვესტიციების მოზიდვა, რომლის ყველაზე მიღებული და პრაქტიკული ფორმაა ფასიან ქაღალდებში ინვესტირება საფონდო ბაზრის მეშვეობით. ამ მხრივ აუცილებელია ორგანიზებული სისტემის არსებობა, სადაც ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის მონაწილეების ერთმანეთთან დაკავშირება შუამავლის (ბროკერით) მეშვეობით იწარმოებს.

თანამედროვე სამყაროში ნებისმიერი ნოვატორული იდეა, ბიზნეს იდეა თუ რაიმე ტექნოლოგიური გარღვევა პირდაპირ კავშირშია ფულად რეგულირდება. კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ისეთი ცნობილი სახეები, როგორიცაა: ბილ გეიტსი, მარკ ცუკერბერგი, სტივ ჯობსი და მრავალი სხვა ამის ნათელი მაგალითია. მათ ჰქონდათ იდეა, სჭირდებოდათ კაპიტალი და საფონდო ბაზრის შუამავალი სტრუქტურების დარწმუნებით მათ შეძლეს საკუთარი იდეების ხორციშესხმა, და ყოველი საზოგადოების წევრის ცხოვრების გაითლება. დღეს ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია ცხოვრება მობილურის, კომპიუტერის, ვინდოუსის, ფეისბუკის თუ სხვა ტექნოლოგიური თუ ყოფითი ნაწარმის გარეშე.

განვითარებული მსოფლიოსთვის (დასავლეთი ევროპა, აშშ, კანადა, იაპონია, ჩინეთი და სხვა მძლავრი საფონდო ინდუსტრიის მქონე ქვეყნები) ნათელია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ორგანიზებული საფონდო ბაზარი (ნიუ იორკის საფონდო ბირჟა ევრონექსტი, asdaq OMX, ლონდონის საფონდო ბირჟა და მრავალი სხვა საფონდო მოედანი) და მისი მთავარი რგოლი - საშუალავლო ბიზნესი ანუ საბროკერო კომპანიები - საინვესტიციო ფირმები (მერილ ლინჩი, მორგან სტენლი,

გოლდმან საქსი, ჯევ პი მორგანი, ბარკლაის ქეპიტალ და მრავალი სხვა საინვესტიციო ბანკი).

კვლევის შედეგად სამწუხაროდ დგინდება, რომ საქართველოში მსგავსი წარმატებისა და წარმატების შანსი მიზერულია, რისი მთავარი პრობლემაა ფულადი რესურსის წყაროს მოზიდვის ორ ძირითად საშუალებას შორის არსებული პრობლემები.

მკითხველისთვის უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, წარმატებულ და განვითარებულ ქვეყნებში ფულის მოზიდვის ორი მექანიზმი - საბანკო სესხი და საფონდო ბაზარი ურთიერთსასარგებლო სინერჯიას ავლენს, ხოლო საქართველოში ფულადი რესურსის მოზიდვის ერთი მექანიზმი - საბანკო სესხი და მთლიანობაში კომერციული საბანკო სისტემა, მაქსიმალურად ცდილობს არ მისცეს გასაქანი ფულის რესურსის მოზიდვის მეორე მექანიზმს (რომელიც მთავარ კონკურენტად მიაჩნია) - საფონდო ინდუსტრიას, და დღეის მდგომარეობით მათ ეს წარმატებით გამოსდით.

საქართველოს საფონდო ბირჟის მესაკუთრეთა სტრუქტურის ანალიზით (წყარო: რეესტრის მწარმოებელი სს „კავკასრეესტრი“) დგინდება, რომ 2014 წლის მდგომარეობით საფონდო ბირჟის აქციათა 56 პროცენტი უკვე ამ სტრუქტურის კონკურენტის - ქართული კომერციული ბანკების საკუთრებაშია, რაც ნიშნავს, რომ ქართული კომერციული ბანკები არ დაუშვებენ საქართველოში მათი კონკურენტის - საფონდო ბაზრის რეალურ განვითარებას, რადგან ეს ეწინააღმდეგება მათ არსებულ პრეფერენციულ და წარმატებულ ფინანსურ მდგომარეობას.

სიტუაციას ართულებს ის ფაქტი, რომ 2008 წელს შეცვლილი კანონმდებლობით მთლიანად ფულადი ბაზრის ამ ორივე სფეროს ერთი მეგარეგულატორი ჰყავს - საქართველოს ეროვნული ბანკი.

2007-2008 წწ მომხდარი ე.წ. „ლიბერალური საკანონმდებლო ცელი-ლებით“ გაუქმდა საფონდო ბაზრის აუცილებელი ატრიბუტი - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, მისი ყველა უფლება გადაეცა ქართული კომერციული ბანკების რეგულატორს და მათი ინტერესების გამტარებელ საქართველოს ეროვნულ ბანკს.

ამას თან დაერთო საბროკერო კომპანიების მიმართ გატარებული უმკაცრესი პოლიტიკა, რომლის შედეგად საქართველოში 2014 წლის-თვის ფაქტიურად აღარ დარჩა კომერციული ბანკისგან დამოუკიდებელი შესახებ“ და მთლიანობაში იყო შეკრული და ცივილური საფონდო

ინდუსტრიის ყველა ატრიბუტი, არსებობდა 42 (ორმოცდაორი) საბრო-კერო კომპანია (რაც საქართველოს კანონმდებლობით საინვესტიციო ბანკის ექვივალენტური ინსტიტუტია), დღეს მათი რიცხვი 7 ერთეულს ითვლის, აქედან დამოუკიდებელი ერთეულია 3, ხოლო 4 - კომერციული ბანკის ფილიალია.

წლების განმავლობაში ეს ტენდენცია შემდეგნაირად გამოიყერება:

წელი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საბრო-კერო კომპანიათა რიცხვი	42	38	35	26	16	16	17	17	16	9	8	8	7	7

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა, www.gse.ge; საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.ge, საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი პლიუსი www.investgroup.ge

თუ 2004 – 2008 წწ სურათით ვიმსჯელებთ, საბროკერო კომპანიების რიცხვი სტაბილურია, მაგრამ 2008 წლიდან ამოქმედებული გამკაცრებული წესების გამო მათი რიცხვი ფაქტიურად ნახევრდება და კლებას განაგრძობს.

ამის პირდაპირი მიზეზი რამოდენიმეა. გამოვყოფ მთავარ რამოდენიმე მიზეზს და ამის გამომწვევ ფაქტორს:

საბროკერო კომპანიის საქმიანობა პირდაპირ დაკავშირებულია გარიგების საჯარო წესით დადებასთან საფონდო ბირჟაზე, რაც დია წესით და ტრანსპარენტულ გარემოში ხორციელდება. ამ პროცესს მივყავართ საბაზრო ფასის ცნებასთან. 2000 – 2007წწ არსებობდა პრობლემა - ე.წ. დახურული ლოტით ვაჭრობა. ეს პრობლემა იქნა მოხსნილი შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი“-ს მიერ, როდესაც ჩვენ მიერ მომზადდა და შეიცვალა ვაჭრობის წესები ბირჟაზე და გაუქმდა ე.წ. N პარამეტრი (დახურული ლოტი, როდესაც ბირჟაზე დია ვაჭრობის პირობებშიც კი ოქვენ სურვილის შემთხვევაშიც და უკეთესი ფასის შეთავაზების დროსაც ვერ ახორციელებთ აქციის შეძენას). ამის გაუქმებას გააფრთხებით ეწინააღმდეგებოდა კომერციული ბანკების აფილირებული სტრუქტურები საფონდო ბირჟაზე, თუმცა 2007 წელს საფონდო ბირჟისა და დამოუკიდებელი საბროკერო კომპანიების ძალის-ხმევით მოხერხდა ამ პრობლემის მოგვარება, მაგრამ ამის საპასუხოდ ქვეყნის მმართველი პოლიტიკური და ეკონომიკური გუნდის მიერ მი-

ღებულ იქნა გადამჭრელი ზომები ქვეყანაში თავისუფალი ფასწარმოქმნის წინააღმდეგ.

სანამ უშუალოდ მიმოვისილავთ 2007 და 2008 წლები მომხდარ საკანონმდებლო ცვლილებებს, რამაც საქართველოში საფონდო ინდუსტრია გაანადგურა, მიხდა ყურადღება მიგაქციო სტატისტიკურ შედეგებს, რაც ამ პერიოდში არსებობდა:

2000 – 2002 წლების საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო დარბაზში სავაჭროდ დაშვებულ იქნა 282 ქართული სააქციო საზოგადოების აქცია, ხოლო 147 სააქციო საზოგადოება პოტენციურად განიხილავდა აქციების ბირჟაზე დაშვებას. 2007 წლამდე ეს რაოდენობა დიდად არც შეცვლილა:

2003 წელს მათი რიცხვი 278 იყო, 2004 წელს - 276, 2005 წელს მათი რაოდენობა 253 ერთეულამდე შემცირდა და 2006 წელს 242 სააქციო საზოგადოებას ითვლიდა. გამოიკვეთა ლისტინგში მყოფი სააქციო საზოგადოებათა ჯგუფი, ხოლო სს „საქართველოს ბანკი“ ორ საფონდო მოედანზე - საქართველოს საფონდო ბირჟასა და ლონდონის საფონდო ბირჟაზე ივაჭრებოდა.

განუხრელად იზრდებოდა საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების რიცხვი, აქციების რაოდენობა და ფულადი ბრუნვა, რაც ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს:

კატეგორია	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
აქციები	4,354,640	10,862,784	11,418,196	7,826,980	30,510,783	32,385,702	68,421,921	
გული	5,892,326	13,077,244	8,401,206	1,693,234	46,676,153	62,362,181		84,670,905
გარაგება	601	1,591	1,343	912	1,094	1,358	5,553	7,856

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა, www.gse.ge; საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი პლიტესი www.investgroup.ge

ამავე პერიოდში მსოფლიოს საფონდო ბირჟების უმსხვილესი ოპერატორი - ჯგუფი OMX (NASDAQ OMX) შპს „საქართველოს საინ-ვესტიციო ჯგუფი“-ს აქტიური ჩართულობით და მხარდაჭერით შემოდის საქართველოში და აკეთებს წინადადებას საქართველოს საფონდო ბირჟის შეძენის თაობაზე.

ეს კი ნიშნავდა საქართველოს პირდაპირ გლობალურ ინტეგრაციას მსოფლიო საფონდო ბაზარზე, ხოლო ქართულ კომპანიებს, შეამავალ ფირმებსა და ინვესტორებს გაუჩნდათ შანსი, გახდნენ მსოფლიო ფინანსური ინდუსტრიის განუყოფელი ნაწილი

იბადება კითხვა - რა მოხდა ამ გადამწყვეტ მომენტში საქართველოში? კვლევის შედეგად შეგვიძლია მოკლედ დავახასიათოთ ეს მოვლენა:

2007 – 2008 წწ ქვეყნის მმართველი გუნდი და მათთან დაკავშირებული ინტერეს ჯგუფი(ები) ანადგურებს ქვეყნის წინაშე არსებულ ამ შესაძლებლობას, აკინებს საფონდო ბაზარს და საკანონმდებლო ნორმებით არამიმზიდველს ხდის საფონდო აქტივობას, უარს ეუბნევა ჯგუფი OMX (NASDAQ OMX) ქვეყანაში დამკვიდრებაში და ანადგურებს საქართველოს წინაშე არსებულ პერსპექტივას, გახდეს რეგიონის ფინანსური ცენტრი (ცნობისთვის, უარის შემდეგ ჯგუფი OMX (NASDAQ OMX) გადადის სომხეთში, სადაც ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკური, საკანონმდებლო და ფინანსური ხელშეწყობით ქმნის ერთიან ფინანსურ ცენტრს NASDAQ OMX ARMENIA).

(ამ ნაშრომის მიზანი არ არის იმის გარკვევა თუ რატომ გადაუდოვა 2007-2008 წწ საქართველოს მმართველმა პოლიტიკურმა და ფინანსურმა გუნდმა რეგიონის ფინანსური ცენტრის შექმნის შანსი სომხეთს საქართველოს საზიანოდ).

თანმიმდევრულად კი სიტუაცია შემდეგნაირად განვითარდა (სამწუხაროდ, ეს ტენდენცია კვლავ გრძელდება მიმდინარე პერიოდშიც):

2007 – 2008 წწ საქართველოს პარლამენტი და ე.წ. „ლიბერალების ჯგუფი“ ახორციელებს ცვლილებას კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“. მსოფლიოში არსებული პრაქტიკის საწინააღმდეგოდ და „ლიბერალური იდეოლოგით შეპყრობილი“ მმართველი რგოლი „ზრუნავს რა“ ინვესტორთა „განთავისუფლების“ საკითხზე ზედმეტი შეამავლისგან, აუქმებს საჯარო (ბირჟაზე მყოფი) ფასიანი ქაღალდებით ყიდვა - გაყიდვას ლიცენზირებული საბროკერო კომპანიების მეშვეობით და ამიერიდან საჯარო, ბირჟაზე მყოფი აქცია შეიძლება ბირჟის გარეშე დაფიქსირებით (ე.წ. „ფიქსინგით“) გასხვისდეს. ფაქტიურად, ამ ცვლილებით გაუქმდა საბროკერო კომპანიის და შეამავლობის არსი, ბოლო მოედო საბაზრო ფასს და საქართველოში დაინერგა

გარიგებების გაფორმების ისეთი უმსგავსო ფორმა, რომელიც აშკარად მანიპულაციის, თაღლითობის და, არ არის გამორიცხული, უულის გათეორების ნიშნებს შეიცავს (ფიქსინგის გზით დადებული რიგი გარიგების აღწერა, რომელიც თავის ბუნდოვანი ბუნებით პირდაპირ ჯდება ასეთ კატეგორიებში, მოცემული მაქს ცალკე ქვეთავით).

2008 წლიდან საქართველოში აქციის ცივილური გზით ყიდვა-გაყიდვა აღარ არსებობს. თუ გსურთ საჯარო, საფონდო ბირჟაზე დაშვებული აქციის გადაცემა, ეს შეიძლება თქვენ უურცელზე წარწერით მოახდინოთ, ყოველგვარი აუქციონის თუ ვაჭრობის გარეშე, მთავარია, ხელი მოაწეროთ საბუთზე (ან ხშირ შემთხვევაში ამას თქვენ „კეთილის მსურველი“ გირჩევთ და დაგარწმუნებთ, რომ ასე ჯობია...) და.... ქონება აღარ გაქვთ. რაც მთავარია, ფულადი ტრანზაქციის კონტროლი ამ გზით საერთოდ ბუნდოვანია. თუ ბირჟაზე აქციას ფულის გარეშე ვერ იყიდით, ხოლო აქციის გაყიდვისას თანხა იმავე დღეს ჯდება ანგარიშზე, ამ გზით (ე.წ. ფიქსინგით) მიიღეთ ფული თუ არა, ეს აქციის გადაცემას არ აფერხებს. ამის შედეგი 2007 წლიდან მოყოლებული კი შემდეგია:

ათასობით სამართლიანობის მომლოდინე ბიზნესი და მომჩივართა რიგები შესაბამისს ორგანოებში. ყველაზე ცუდი ის არის, რომ აღნიშნული ქონება (აქციები, ობლიგაციები თუ სხვა წარმოებული ინსტრუმენტი) შემდეგშიც რამოდენიჯერ იქნა გადაცემული ამ ფიქსაციის გზით, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის სამართლიანობის აღდგენას.

შედეგად ქვეყანაში შეიქმნა და დამკვიდრდა რამოდენიმე მხსვილი ფინანსურ - ეკონომიკური მმართველი ოლიგოპოლია ეკონომიკის ყველა დარგში, ხოლო მათ კონტროლს დაექვემდებარა ქვეყნის სიმდიდრის უდიდესი ნაწილი. ანუ მივედით კლასიკურ აქსიომადე - საფონდო ბაზრის არ არსებობა ნიშნავს არატრანსპარენტულ ეკონომიკას და ქვეყანაში საშუალო ფენის არ არსებობას. ეს კი, თავის მხრივ, ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე ტოვებს ქვეყნის სამომავლო განვითარებას და წინსვლას.

2007-2008 წწ მომხდარი ცვლილებების კვალდაკვალ ქრება სააქციო სახოგადოებათა მენეჯმენტის დაინტერესება, ივაჭრონ აქციებით ლია და ტრანსპარენტულ გარემოში, თუ კანონი ამას არც მოითხოვს. შესაბამისად, თუ 2006 წელს ბირჟის სავაჭრო სისტემაში (ლისტინგის გარეშე) იყო 242 კომპანია, 2007 წელს რიცხვი მკვეთრად ეცემა 161-მდე და აგრძელებს კლებას 129 კომპანიამდე 2013 წლის მდგომარეობით;

ყურადსაღებია საქართველოს საფონდო ბირჟის ბრუნვის კატასტროფული დაცემა. თუ 2006-2007 წწ ბირჟის სავაჭრო სისტემის (ანუ ლია და ტრანსპარენტულ გარემოში დადებული გარიგებები, პარამეტრის დაბრკოლების მიუხედავად) ბრუნვა 167-169 მლნ ლარს აღწევდა,

მომდევნო 2008 წელს ის 14 ჯერ! ეცემა (ანუ 1400 პროცენტიანი გარდნა) და აგრძელებს ვარდნას მომდევნო წლებში. 2013 წლის შედეგით კი ქვეყნის საფონდო ბირჟის ბრუნვა 530,491 ლარს უდრის, ანუ 2007 წელთან შედარებით 338 ჯერ ნაკლებია! 2013 წლის ბრუნვით საქართველოს საფონდო ბირჟა ამყარებს ანტირეტორიზაციულ თავის ისტორიაში – ასეთი მცირე მოცულობა მას არასოდეს გააჩნდა დაარსებიდან დღემდე. თანდართული ცხრილით წარმოდგენილია ეს პროცესი დროში.

კატეგორია	2008	2009	2010	2011	2012	2013
აქციები	12,480,863	12,667,601				
გული	10,584,246	3,112,576	5,117,755	41,641,272	2,503,705	12,077,996
გარიგება	2,321	1,304	2,372	860	339	530,491

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა, www.gse.ge; საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი [პლიუსი](http://www.investgroup.ge)

მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა 2007 – 2008 წწ მომხდარი ცვლილებები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კანონმდებელი, შესაბამისისი ინტერეს ჯგუფები და მმართველი გუნდი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ რაც შეიძლება მეტი ავნოს ამ ბაზარს.

2008 წლიდან მოყოლებული მსოფლიო კრიზისის კვალდაკვალ ყველა ნორმალური და ცივილური მმართველი გუნდი და მისი ბიზნეს ელიტა ცდილობს, მხარში ამოუდგეს ბიზნესს, გაუმარტივოს საქმიანობა, ხელი შეუწყოს მას მძიმე პერიოდში, მაგრამ არა საქართველოს მმართველი გუნდი საბროკერო კომპანიებისა და საფონდო ბაზრის მიმართ. ეკონომიკური, საკანონმდებლო და საბაზრო სიტუაციის გაუარესების კვალდაკვალ საბროკერო კომპანიებს, რომლებიც ისედაც უფუნქციო და შემოსავლის ძირითადი წყაროს გარეშე დარჩნენ, მარეგულირებელი (საქართველოს ეროვნული ბანკი) უზრდის საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს და აუქმებს სამი ტიპის ლიცენზიას და აღიარებს მხოლოდ გენერალურ ლიცენზიას, რომლის დაგმაყოფილების უნარი

ფაქტიურად მხოლოდ კომერციულ ბანკებს და მათ ფილიალებს შეუძლიათ. ამ ეტაპზე ლიცენზიის შენარჩუნებისთვის საბროკერო კომპანიას მოეთხოვება 360 000 ლარის კაპიტალი, ხოლო მომდევნო წლიდან 500 000 ლარის. კაპიტალის აღიარების გართულებული სქემის თანახმად კაპიტალის შევსების წყაროდ მიჩნეულია ფაქტიურად მხოლოდ ფულადი რესურსი, რაც ბაზრის საერთო დაცემის ფონზე არ აძლევს დამოუკიდებელ საბროკერო კომპანიას კონკურენცია გაუწიონ კომერციული ბანკის ფილიალებს და ადგილი აქვს საფონდო ინდუსტრიის, როგორც საბანკო სესხის აღტერნატივის ფაქტიურ გაქრობას. ამ ნაბიჯით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ხელი შეუწყო საფონდო ბაზრის კომერციული საბანკო სექტორისადმი (ანუ კონკურენტული სტრუქტურის) დამორჩილების ტენდენციას. ყურადსალებია, რომ საფინანსო ბაზრის იმ სეგმენტს, რომელიც მკვეთრ ზრდას განიცდის კრიზისის პირობებში და გაცილებით უფრო რისკიანია – მიკროსაფინანსო კომპანიები - საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მხოლოდ 250 000 ლარის კაპიტალს საჭიროებენ. ნიშანდობლივია, რომ შეკითხვაზე, თუ რატომ აქვს ადგილი ასეთ დისპროპორციას და რატომ არ აბრუნებს ეროვნული ბანკი მისი წინამორბედი - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის სამი ტიპის სალიცენზიო მოთხოვნებს, საქართველოს ეროვნული ბანკი იშველიებს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას და მის მოთხოვნებს საფონდო ბაზრის მიმართ...?!

ფიქსინგი

2008-2014 წლების განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ბირჟისა და ტრანსპარენტული გარემოს გარეთ დაფიქსირებულ გარიგებათა რაოდენობამ (გ.წ. ფიქსინგი) 3453 შეადგინა, მათმა ჯამურმა მოცულობამ აქციებში 5,054,520,669 ცალი, ხოლო ჯამური დირებულება 1,233,305,848 ლარს გაუტოლდა.

კატეგორია	2008	2009	2010	2011	2012	2013
აქციები	70,669,027	2,954,953,076	1,663,935,776	90,352,271	49101717	225,508,802
ფული	245,978,780	95,757,903	96,051,894	16,840,554	726,721,480	51,955,237
გარიგება	857-	572	835	421	538	230

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა www.gse.ge

ანუ „რუხმა“ ბაზარმა დია ბაზრის ოდენობა 2008 წელს 24 - ჯერ, 2009 წელს 32 - ჯერ, 2010 წელს 19 - ჯერ, 2011 წელს 8 - ჯერ, 2012 წელს 90 - ჯერ! და 2013 წელს 100 - ჯერ გადააჭარბა!

ფაქტიურად ქვეყნის მთელი საფონდო ბაზარი რუხმა, არატრანსპორტულმა „ველურ - ლიბერალურმა“ ბაზარმა ჩაანაცვლა. უფრო გასაგები რომ იყოს, რა არის ეს ფიქსინგი და რატომ არის მისი არსებობა ასეთი დამანგრეველი საბაზრო ეკონომიკის, ფასწარმოქმნისა და ქვეყნის საინვესტიციო იმიჯისთვის საზიანო, გამოვლოვ მხოლოდ რამოდენიმე გარიგებას, რომელიც ამ სურათს აღწერს. აღსანიშნავია, რომ ასეთი გარიგებების რაოდენობა ათობით ერთეულია და შესაძლოა, რამოდენიმე ასეულ მსგავს ფაქტს ჰქონდეს ადგილი გასული ექვსი წლის განმავლობაში.

1. 2008 წლის დეკემბერში ამ საკანონმდებლო ცელილების შედეგად ბირჟის გარეთ დაფიქსირდა სს „კავკასიის ენერგიისა და ინფრასტრუქტურის“ აქციაზე ორი გარიგება ერთ დღეს. ფიქსინგის ფურცლის თანახმად, ერთმა ინვესტორმა აღნიშნული სააქციო საზოგადოების აქციების ნაწილი გაყიდა 0,167 ლარში თითო, ხოლო მეორე ინვესტორმა აქციების მსგავსი ან ზუსტად იგივე რაოდენობა გაყიდა 1,741 ლარში თითო.

2.

თარიღი	გარიგებები	მინ. ფასი	მაქს. ფასი	მოცულობა	ღირებულება
31/12/08	2	0.1665	1.7414	799,658	762,833.75

თუ ამ ფიქსინგს არითმებიკულად მიგუდგებით, ვდებულობთ, რომ გასხვისდა 799,658 აქცია. აქედან 383,329 აქცია გაიყიდა 63,824 ლარში,

ხოლო ამავე რაოდენობის - 383,329 აქცია - იმავე დღეს და იმავე ფურცლის თანახმად გაიყიდა 667,529 ლარში. გამოდის, რომ ერთმა ინვესტორმა „აჯობა“ მეორეს 600,000 ლარზე მეტი თანხით ერთიდაიმავე დღეს და იგივე რაოდენობის აქციაზე. აღვნიშნავ, რომ მსგავსი რამ და გაჭრობის დროს, ცივილურ საფონდო ბაზარზე არ ხდება და ეს ეოფელგვარ ნორმებს სცილდება;

2. სააქციო საზოგადოება „ხიდმშენი“-ს აქციაზე 2009 წლის მაისში ასევე ფიქსირებით გადაცემულია 131,415 აქცია, ჯამური თანხით 2,490,314 ლარი. ერთი შეხედვით ამაში არაფერია განსაკუთრებული, თუ არა დაფიქსირებული ფასი - თითო აქცია დაფიქსირებულია 18,95 ლარში. საინტერესოა, რომ არც მანამდე (2000 წლიდან) და არც ამ ფიქსაციის შემდეგ ამ სააქციო საზოგადოების აქცია არ დირდა ამდენი. ფასი მერყეობდა 0,10 დან - 0,50 ლარამდე. არც აქციების რაოდენობაა რაიმე განსაკუთრებული და არც წილობრივი მონაცემი. 2007 – 2009 წლების ფასის დიაპაზონი იყო 0,10 – 0,50 და 2009 წლის ივნისში აქცია 0,50 ლარი დირს. რატომ გადაიხადა რუს ბაზარზე ფიქსაციით (ფულის ბრუნვა უცნობია) ინვესტორმა საქონელში 2,490,314 ლარი, როდესაც ეს საქონელი (აქცია) დირდა და დირს 80 – 90,000 ლარი უცნობია...

თარიღი	გარიგებები	მინ. ფასი	მაქს. ფასი	მოცულობა	დირებულება
29/10/07	1	0.1000	0.1000	120,000	12,000.00
8/07/08	1	0.5000	0.5000	159,492	79,746.00
17/02/09	1	0.3000	0.3000	26,853	8,055.90
5/05/09	1	18.9500	18.9500	131,415	2,490,314.25
2/06/09	1	0.5000	0.5000	180,576	90,288.00
4/06/09	1	0.5000	0.5000	898,270	449,135.00

3. 2011 წლის ივლისის თვეში ფიქსაციით საოცარ „ფასწარმოქმას“ ჰქონდა ადგილი. სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“-ს 30,697 ცალი აქცია სხვისდება ერთ დღეში ჯამური თანხით 2,495,269 ლარი. ყველაზე გასაოცარია ამ ფიქსინგის დროს ნაჩვენები აქციების გადაცემის ფასი. სულ დაიდო სამი გარიგება, ხოლო ფასი, რომელიც ამ ერთ დღეს დაფიქსირდა გადაცემებში (ეს არ არის გაჭრობა), მერყეობდ 1,30 ლარიდან 83,4879 ლარამდე! ანუ ამ აქციაზე ერთი და იმავე დღეს გადახდილი (თუ ნაჩვენები) ფასი ერთი მეორეს გან 64 - ჯერ განსხვავდება!

Issue	Trades	Min. Price	Max. Price	Aver. Price	Volume in securities	Volume in GEL
<u>BSK</u>	3	1.3000	83.4879	30,697	2,495,269	

4. ამავე პერიოდში ასევე ფიქსინგის გზით და გაუმჯირვალე ფასწარმოქმნით სხვისძება სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის“ აქციების მსხვილი წილი. ფიქსინგით გადაცემულ იქნა 42,848,963 აქცია (ანუ საწარმოს წილის 41.5%), სულ 6,000,331 ლარში. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი წილი 2006 წლის 15 დეკემბერს იქნა გასხვისებული 89,722,692 ლარში. ანუ 5 წელიწადში პრივატიზაციის შემდეგ მისი ფასი დაეცა თითქმის 15 ჯერ?! ამ გარიგების დეტალებიც, ისევე, როგორც სხვა მრავალი ფიქსინგის, უცნობია.

Issue	Trades	Min. Price	Max. Price	Aver. Price	Volume in securities	Volume in GEL
<u>UTC</u>	2	0.1400	0.2000	42,848,963	6,000,331	

ასეთი ფაქტების ჩამოთვლა, რაც 2007 – 2008 წლებში მომხდარი ამ საკანონმდებლო ცვლილებით არის გამოწვეული, დაუსრულებლად შეიძლება. კვლევის შედეგად ჩემს მიერ იქნა გამოკვეთილი პრობლემები და გაცემულ იქნა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ სურს ინვესტორებს საქართველოში ინვესტირება, რატომ არ მუშაობს საფონდო ბაზარი და რატომ არ არის ქვეყანაში არცერთ აქციაზე საბაზრო ფასი. წარმოიდგინეთ თქვენი თავი ინვესტორის ადგილზე – იყიდეთ აქცია (ან სხვა აქტივი თუ საქონელი) 83 ლარში ცალი და ფიქსინგით ხედავთ, რომ ეს აქცია (ან სხვა აქტივი თუ საქონელი) „თურმე სხვამ“ იმავე დღეს 1.30 ლარში შეიძინა...

დამეთანხმებით, რომ კომენტარები ზედმეტია. უბრალოდ გვსურს მკითხველმა თვითონ გასცეს პასუხი თუ რა მიზანი ამოძრავებით ამ ფიქსინგის წინა მმართველობის პერიოდში შემომდებ ავტორებს და დღევანდებ რეალობაში ამ კანონის მხერვალე დამცველებს. რომელ ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობაზე და წინსვალზეა საუბარი ასეთი „გარიგებების“ ფიქსირების გზით..

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე საფონდო ბაზარმა დაკარგა თავისი მთავარი ფუნქცია - იყოს აქციებზე ფასწარმოქმნის საბაზრო ფუნდამენტი. შესაბამისად, აქციებით თუ სხვა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საქართველოში აქ ჩამოთვლილ და სხვა მრავალი მიზეზთა გამო ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

უკრადსაღებია, რომ ახალი პოლიტიკური რეალიების პალ-დაკვალ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საფონდო ბაზრის გადარჩენის და მისი განვითარების მიზნით საქართველოს პარლამენტის საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტს წარედგინა იმ აუცილებელ ცვლილებათა ნუსხა, რომელიც აუცილებელია სიტუაციის გაჯანსაღებისთვის, ამ კომიტეტმა მოახდინა შესაბამისი კანონპროექტის ინიცირება, თუმცა დღემდე ამ კანონის არათუ მიღება, არამედ მისი საპარლამენტო ბიუროს დღის წესრიგში შეტანაც კი ვერ განხორციელდა...

არ არის დასამალი, რომ ამ ცვლილებებს ეწინააღმდეგება საკანონი დიდი და გავლენიანი ლობი, რომელმაც ამ ქართული საკანონმდებლო „შედევრით“ საკმაოდ მოითბო ხელი ბოლო ექვსი წლის განმავლობაში და არც მომავალში აპირებს ამ „სიამოვნებასთან“ განშორებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საფონდო ბირჟა, www.gse.ge;
2. საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.ge;
3. საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი www.investgroup.ge;

დავით ასლანიშვილი

თხუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის ასისტენტ პროფესორი,
საქართველოს საპატიორარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
სახელობის

ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

საფონდო ბაზარი სამართველოში:

არსებული რეალიები და მომავალი

ანოტაცია

ნაშრომში მიმოხილულია საქართველოში საფონდო ბაზარი, მისი ორგანიზებული სტრუქტურის განვითარება 2000 წლიდან დღემდე ასახულია საფონდო ბაზრის წინაშე არსებული პრობლემები, საბაზრო ფასის და ფასწარმოქმნის პრობლემა და ამის მიზეზი, ინვესტიციების მცირე მოცულობა და ამის მიზეზ - შედეგობრივი კავშირი. ცალკე აღწერილია საბანკო სისტემა და კანონმდებლობა, რომელიც ხელს უშლის საფონდო ბაზრის განვითარებას. ცალკე განხილულია ე.წ.
„ფიქსინგი“ (გარესაბირჟო ბაზარზე დაფიქსირებული გარიგებები).

Давид Асланишвили

Ассистент-Профессор Тбилисского Государственного Университета,
Докторант Университета Грузии им. Святого Андрея Первозванного при
Патриархии Грузии

**ФОНДОВЫЙ РЫНОК В ГРУЗИИ:
НЫНЕШНИЕ РЕАЛИИ И БУДУЩЕЕ**

Аннотация

В данной статье рассмотрены проблемы, сопряженные с развитием в Грузии фондового рынка. Дан обзор и исследование организованного фондового рынка с 2000 года по сей день, проблемы рынка, отсутствие понятия рыночной цены, низкий уровень инвестиций, обрисованы их причины и следствия. Отдельно рассмотрен вопрос банковской системы и законодательства в данной сфере и процесс так называемого «фиксинга» (фиксация внебиржевых сделок).

David Aslanishvili

Assistant Professor of Tbilisi State University,
PhD Student of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate
of Georgia

**STOCK MARKET IN GEORGIA:
PRESENT REALITY AND PROSPECTIVE**

Annotation

This article described Georgian stock market, its development since 2000 until now, obstacles, absence of market price, low level of investment, its reasons and explanations, banking system and legislation. Special topic described so called “fixing” procedures (OTC deals out of market).

**გამოცემის შპ მდგრადი
ბათუმის მთავრობის რესტავრაციის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოკტორანტი**

**საბაზარისა და კანონმდებლობის სრულყოფის პროგლობები
საბაზარისა და გადამდებლების შესრულების
გაშვილების მიზნით**

გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შესრულება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ბიუჯეტის შევსებასა და იმ ამოცანების გადაჭრასთან, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებასთან. ხოლო გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებების კანონით დადგენილი წესით შესრულებისთვის აუცილებელია საგადასახადო კანონმდებლობა არ იყოს ბუნდოვანი და ცალკეული ნორმები არ იწვევდეს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციას.

ნებისმიერი ნორმალური ქვეყნის მიზანია კანონმდებლობის სრულყოფა და სიმარტივე, წესებისა და ნორმების ზუსტი ფორმულირება, რათა ვალდებულებათა არაჯეროვნად შესრულების მიზეზი არ გახდეს კანონის არასწორად აღქმა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მიუხედავად მისი მრავალჯერ დახვეწის მცდელობისა, ორაზროვანი და გაუგებარი მუხლები მრავლადაა. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საწარმოში, რომლის წილის (აქციების) 20 პროცენტზე მეტი პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულ იურიდიულ პირს, ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქითო პროცენტების თანხის ზღვრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადამხდელის მიერ პროცენტის სახით მიღებული ნებისმიერი შემოსავლის თანხის და პროცენტის სახით მიღებული შემოსავლისა და პროცენტის სახით გაწეული ხარჯის გაუთვალისწინებლად განსაზღვრული დასაბეგრი მოგების 50 პროცენტის ოდენობის თანხების ჯამს. აღნიშნული მუხლის სწორად გაგება არსებული განმარტებით საკმაოდ როგორია. უფრო მეტიც, სრულიად გაუგებარია, რა განსხვავებაა ”პროცენტის სახით მიღებული ნებისმიერი შემოსავლის თანხასა” და ”პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალს” შორის. ამასთან, აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით არ არსებობს განმარტება არც საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით შემუშავებულ ინსტრუქციებსა და არც შემოსავლების სამსახურის კომენტარებში. თუ საწარმომ, რომლის წილის 20 პროცენტზე მეტი ეკუთვნის მოგების გადასახადისაგან

განთავისუფლებულ იურიდიულ პირს, პროდუქციის რეალიზაციით მიიღო შემოსავლები 120 000 ლარი, ხოლო ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯია 70 000 ლარი, ამასთან, მას გაცემული სესხების მიხედვით მიღებული აქვს საპროცენტო შემოსავლები 30 000 ლარი, ხოლო ადგებული სესხების მიხედვით საპროცენტო ხარჯი წლიური 17%-იანი განაკვეთის შესაბამისად შეადგენს 60 000 ლარს, მის მიერ პროცენტის სახით გამოსაქვითი ხარჯის ზღვრული ოდენობის განსაზღვრისთვის საპროცენტო შემოსავალს, ანუ 30 000 ლარს უნდა დავუმატოთ 50 000 ლარის (120 000 – 70 000) ნახევარი ანუ 25 000 ლარი. შესაბამისად, გაწეული 60 000 ლარის საპროცენტო ხარჯიდან კოდექსით ნებადართული ოდენობა 55 000 ლარი (30 000 + 25 000).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს დასაბეგრ მოგებას საავიაციო ტრანსპორტით მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისა და ტვირთების საერთაშორისო გადატანის განმახორციელებლი არარეზიდენტი საწარმოსთვის შემდეგნაირად – საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი იყოფა მის მიერ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ (მთლიან) შემოსავალზე და მრავლდება მის მიერ მიღებულ დასაბეგრ მოგებაზე. აღნიშნულ განმარტებით დასაბეგრი მოგების გამოსათვლელად განსაზღვრული მაჩვენებელი მრავლდება დასაბეგრ მოგებაზე, რაც, ერთი შეხედვით, გაუგებრობას ქმნის აღნიშნული მუხლის წაკითხვისას. ამასთან, გადამხდელისთვის ხელმისაწვდომი ოფიციალური განმარტებები არც ამ შემთხვევაში მოიპოვება. ლოგიკურად, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული საწარმოსთვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული დასაბეგრი მოგება მის მიერ მთლიანად მიღებულ დასაბეგრ მოგებასთან მიმართებაში განისაზღვრება საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებულ ერთობლივ შემოსავალში საქართველოში მიღებული ერთობლივი შემოსავლის წილის პროპორციულად. მაგალითად, ზემოთაღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროდან მიღებული მთლიანი დასაბეგრი მოგება შეადგენს 100 000 ლარს, ამასთან, სულ ერთობლივი შემოსავალი შეადგენს 150 000 ლარს, მათ შორის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულია 30 000 ლარი. ამ შემთხვევაში საქართველოში მუდმივი დაწესებულების მიხედვით აღნიშნული საწარმოს მოგების გადასახადით დასაბეგრი მოგება შეადგენს 20 000 ლარს (30 000/150 000X100 000).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8, 144-ე და 161-ე მუხლები მოიცავს გრძელვადიანი კონტრაქტის განმარტებას და მისი შესრულების ეტაპებზე ერთობლივ შემოსავლებსა და დასაბეგრ ოპერაციებში ჩასართავი თანხების განსაზღვის წესებს. თუმცა, კოდექსის მოცემული განმარტებები ძალიან მწირია და სრულ წარმოდგენას არ ქმნის აღნიშნულ საკითხებზე. ეს პრობლემა საკმაოდ ეფექტურად გადაიჭრა შემოსავლების სამსახურის მიერ აღნიშნულ მუხლებზე კომენტარების გამოცემით, რომლებშიც პრაქტიკული მაგალითებით არის გადმოცემული ფაქტობრივი გარემოებები და შედეგები კონკრეტულ შემთხვევებში. კომენტარები 144-ე მუხლზე და 161-ე მუხლის მე-6 ნაწილზე განსაზღვრავს ხელშეკრულების დირებულებიდან მოგების გადასახადის მიზნებისთვის ერთობლივ შემოსავლებში ჩასართავი თანხის და დამატებული დირებულების გადასახადის მიზნებისთვის ყოველი წლის დეკემბერში დასაბეგრი ოპერაციების თანხის განსაზღვრის წესს მთლიან ხარჯთაღრიცხვაში მოცემულ წელს გაწეული ხარჯების წილის პროპორციულად. აქვე ნათქვამია, რომ თუ იცვლება მთლიანი საგეგმო ხარჯთაღრიცხვა, მოგების გადასახადის და დამატებული დირებულების გადასახადის წარდგენილი დეკლარაციები ექვემდებარება დაზუსტებას. თუმცა, არაფერია ნათქვამი, გადახდება თუ არა საურავი გადამხდელს იმ შემთხვევაში, როცა საგეგმო ხარჯთაღრიცხვის ცვლილების გამო დეკლარაციების დაზუსტებით პირს ეზრდება გადასახდელი თანხა. აღნიშნულის შესახებ არ მოიპოვება ჩანაწერი არც საგადასახადო კოდექსის შესაბამის მუხლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ საურავის დარიცხვა მოხდება. ეს არასამართლიანი მიდგომაა, რადგან, ერთის მხრივ, კანონი გადამხდელს ავალდებულებს წინასწარი სავარაუდო გათვლებით შეასრულოს საგადასახადო ვალდებულებები და მათი დაზუსტების შემთხვევაში ვაკისრებთ სანქციას. ვფიქრობ, საჭიროა მოცემული საკითხის გადახედვა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლში ცვლილების შეტანით მოცემულ შემთხვევაში საურავის არდარიცხვის შემოღება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის 1 ნაწილის შ) პუნქტის თანახმად, საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, თუ დაქირავებით მუშაობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე საგადასახადო წლის განმავლობაში არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა და შემოსავლის (ხელფასის) გადამხდელი არარეზიდენტი დამქირავებელია, რომელსაც საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება. თუმცა, ძნელი გასაგებია, როგორ უნდა მოხდეს იმ პირთა დაბეგვრა, რომლებიც ასეთ დამქირავებელთან 30 კალენდარულ დღეზე მეტი დროის განმავლობაში მუშაობენ, რადგან

154-ე მუხლის 1 ნაწილის ა.ბ) პუნქტის თანახმად, გადახდის წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება არარეზიდენტის მიერ გადახდილი ხელფასი, როდესაც ასეთი ხარჯი არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ხარჯებს. მოცემულ შემთხვევაში, სავარაუდოდ, უნდა ვიხელმძღვანელოთ 153-ე მუხლის მოთხოვნით, რომლის თანახმადაც საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენა საგადასახადო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე ევალება არარეზიდენტ ფიზიკურ პირებსაც, რომლებიც შემოსავალს იღებენ საქართველოში არსებული წყაროდან და არ იძეგრებიან გადახდის წყაროსთან. შესაბამისად, წლიური შედეგების მიხედვით ამავე ვადაში უნდა გადაიხადონ მიღებული ხელფასის საშემოსავლო გადასახადი. თუმცა, ძნელი წარმოსადგენია არარეზიდენტი ფიზიკური პირები ასრულებნდენ ამ ვალდებულებას, მით უმეტეს, როცა საქართველოში მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში დებულებენ გადახდის წყაროსთან დაუბეგრავ ხელფასს, 153-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების გარდა, მათ დაბეგვრაზე სხვა წესი არ მოიპოვება, არარეზიდენტ დამქირავებელს წყაროსთან გადასახადის დაკავება არ ევალება და შესაბამისად, ის არც საგადასახადო ორგანოს წარუდგენს 154-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას ხელფასის მიმღები პირების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში უკათესი იქნება კანონში კონკრეტულად გაიწეროს ასეთი ფიზიკური პირების დაბეგვრის წესი და შემუშავდეს ეფექტური მექანიზმი მათ გასაკონტროლებლად, მით უმეტეს მაშინ, როცა არარეზიდენტი დამსაქმებლების და დასაქმებულების რაოდენობა ბოლო პერიოდში საკმაოდ იზრდება ჩვენს ქვეყანაში.

ამგვარად, პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა სამეურნეო ოპერაციის ზუსტად შესაბამისობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის კონკრეტულ მუხლთან ძალიან ძნელია, ამ უკანასკნელის არასაკმარისი განმარტების გამო. შემოსავლების სამსახურის მიერ ცალკეულ მუხლებზე კომენტარების შემუშავება საკმაოდ უფასებური საშუალებაა გადამხდელთათვის საგადასახადო ვალდებულებების კანონმდებლობის დაცვით შესრულების უზრუნველყოფის პროცესში. თუმცა, გადამხდელთათვის ხელმისაწვდომი კომენტარები ჯერჯერობით საგადასახადო კოდექსის მხოლოდ რამდენიმე მუხლის შესახებ არსებობს და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მათი შემუშავება სხვა მუხლების უკათესად განმარტების მიზნითაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, სსმ, 54, 12/10/2010;
2. შემოსავლების სამსახურის განმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილზე, ვებ-გვერდი, 12/04/2012;
3. შემოსავლების სამსახურის განმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-144 მუხლზე, ვებ-გვერდი, 12/04/2012;
4. შემოსავლების სამსახურის განმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-161 მუხლის მე-6 ნაწილზე, ვებ-გვერდი, 12/04/2012;

ეკატერინე შაინიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

**საბადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის პროცესის
საბადასახადო ვალიდულების შესრულების
გაშვაბობის მიზნით**

ანოტაცია

სტატია ეძღვნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულ ბუნდოვან ნორმებს, რომელთა შესახებაც არ მოიპოვება გადამხდელთათვის ხელმისაწვდომი ოფიციალური განმარტებები, რაც საგადასახადო ვალიდებულებათა ჯეროვნად შესრულების შემაფერხებელი ფაქტორია. კვლევის შედეგად განხილულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის რამდენიმე ასეთი მუხლი კონკრეტული მაგალითით, რაც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის გადამხდელებს მსგავსი სამეურნეო ოპერაციების დაბეგვრის დროს.

Екатерина Шаинидзе
Докторант Батумского государственного
университета имени Шота Руставели

**ПРОБЛЕМЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ НАЛОГОВОГО
ЗАКОНОДАТЕЛЬСТВА С ЦЕЛЬЮ УЛУЧШЕНИЯ ИСПОЛНЕНИЯ
ОБЯЗАТЕЛЬСТВ**

Аннотация

Статья посвящается не совсем четко сформулированным нормам в Налоговом законодательстве Грузии, о которых нет доступных для налогоплательщиков официальных разъяснений, что является тормозящим фактором в деле исполнения налоговых обязательств. В исследовании на

конкретных примерах рассмотрены несколько статей Налогового кодекса Грузии, что будет явиться наглядным примером для налогоплательщиков в деле налогообложения подобных хозяйственных операций.

Ekatereine Shainidze
PhD student at Batumi Shota Rustaveli State University

PROBLEMS OF PERFECTION OF TAX LEGISLATION FOR THE PURPOSE OF IMPROVING TAX COMPLAINT

Annotation

The paper deals with the vague standards in the tax legislation in Georgia, on which there is lack of official definitions available for taxpayers. In result it is a hindering factor for proper fulfillment of tax liabilities. On the basis of the survey several articles with particular examples of tax legislation of Georgia are discussed, which will give a clear idea to taxpayers while taxation of similar economic operations.

**ქრისტინე ომაძე
საქართველოს სააგრიარჯოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
ხახულის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**ეკონომიკური პრიზის და სამართველოს საპრეზიდო ბაზრის
ტრანზორმაცია**

2007 წელს დაწყებული გლობალური ეკონომიკური კრიზისი ყველაზე ნათლად აისახა ეკონომიკური აქტიობის დაცემის მხრივ. კრიზისმა ხარისხობრივი და თვისობრივი ცვლილება შეიტანა დაკრედიტების არსებულ არხებსა და მათ სახეობაში. განხილულია წამყვანი ქართული ბანკების საკრედიტო პორტფელის ცვლილება და შედარებულია წინასაკრიზისო და მისი შემდგომი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა და კრედიტის მირითადი სახეები.

სს “საქართველოს ბანკი

საქართველოს ბაზრის წამყვანი ბანკის – სს “საქართველოს ბანკი”-ს საკრედიტო პორტფელი წინასაკრიზისო პერიოდში შემდეგი სტრუქტურით ხასიათდებოდა:

2006 წელს ბანკის ჯამური გაცემული სესხი 706 მლნ ლარს აღწევდა, ხოლო მომდევნო წელს ის 1.705 მლნ ლარს გაუტოლდა. ზრდა ფიქსირდებოდა საკრედიტო სესხის სახეობათა ყველა ძირითადი მუხლის მიხედვით, განსაკუთრებული პროცენტული ზრდა სამომხმარებლო სესხებზე მოდიოდა:

<i>GEL thousands, unless otherwise noted</i>	2006	2007
Commerical Loans	403,306	936,668
Consumer Loans	91,901	331,082
Residential Mortgage Loans	82,307	236,397
Micro Loans	101,369	152,436
Gold Pawn Loans	26,979	28,158
Other	-	19,869
Gross Loans	705,862	1,704,610

(წყარო: სს “საქართველოს ბანკი”)

ამ მხრივ სახეზეა საკრედიტო აქტიობის გააქტიურების ტენდენცია, რაც დამახასიათებელი იყო ეკონომიკური ზრდისა და აღმავლობის პერიოდისთვის როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ეკონომიკებისათვის. ამ მხრივ საკმაოდ საინტერესოა ცხრილის მომდევნო,

2008 და 2009 წლების შედეგის მიმოხილვა, ანუ ეკონომიკური კრიზისის ყველაზე მწვავე პერიოდში მიმდინარე მოვლენების ზეგავლენა წამყვან ქართულ ბანკზე.

ბანკის მიერ მომზადებული სტატისტიკური ცხრილი ნათლად ასახავს ამ მძიმე ეკონომიკური და საომარი პერიოდის ზეგავლენას საკრედიტო პორტფელსა და მთლიანობაში ეკონომიკაზე:

GROSS LOANS

GEL thousands	2008	2009	Change
Commercial loans	1,044,959	939,814	-10.1%
Residential mortgage loans	391,606	387,415	-1.1%
Consumer loans	496,197	332,537	-33.0%
Micro loans	151,313	99,981	-33.9%
Gold – pawn loans	46,374	62,829	35.5%
Others	15,174	5,241	-65.5%
Loans to customers, gross	2,145,623	1,827,817	-14.8%
Less – Allowance for loan impairment	(106,601)	(166,486)	5.0%
Loans to customers, net	2,039,022	1,661,331	-9.1%

(წყარო: სს „საქართველოს ბანკი“)

თუ 2008 წელს მიმდინარეობს საკრედიტო პორტფელის ზრდა (განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში), შემდეგ პერიოდში და 2009 წელს ადგილი აქვს ნეგატიურ ცვლილებებს:


1. გაცემული კომერციული სესხის ოდენობა კლებულობს 10.1%;
2. სამომხმარებლო სესხი – 33%;
3. მიკრო სესხი – 33.9%
4. საღომბარდო სესხი – 35.5%;
5. სხვა სახის სესხი – 65.5%

ჯამურად კი 2009 წელს ბანკმა 2008 წელთან შედარებით 318 მლნ ლარით ნაკლები სესხი გასცა ეკონომიკის დაკრედიტებაზე, რაც 14.8% საკრედიტო პორტფელის შემცირებაში გამოიხატა.

თუ მოვახდენთ ბანკის საკრედიტო პორტფელის ანალიზს გაცემული სესხებისა და დაფინანსებული დარგების მიხედვით, სურათი შემდეგია:

2006 და 2007 წწ


Gross Loans By Customer Type & Corporate Loans By Sector



(წყარო: სს „საქართველოს ბანკი“)

2008 და 2009 წწ

GROSS LOANS BY CUSTOMER TYPE AND BY SECTOR



(წყარო: სს „საქართველოს ბანკი“)


მოცემული ცხრილების ანალიზის შედეგად რაიმე კარდინალურ ცვლილებას დაკრედიტების კუთხით აღგილი არა აქვს, თუმცა სახეზეა დაკრედიტების შემცირება კორპორატიული კლიენტების კუთხით (8 პროცენტით) და დაკრედიტების ხელითი წილის ზრდა ფინიკური პირების დაფინანსების კუთხით.

ეპონომიკის დაკრედიტების მხრივ შემცირებულია ბანკის საკრედიტო პორტფელის წილი ვაჭრობასა და მომსახურების დარგის დაფინანსებაზე, რაც ბანკის საკრედიტო პორტფელის ძირითადი მიმართულებაა 64 პროცენტიდან 60 პროცენტამდე, ასევე შემცირებულია სოფლის მეურნეობის დაფინანსება 6 პროცენტიდან 1 პროცენტამდე, თუმცა

გაზრდილია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგის დაფინანსება 1 პროცენტიდან 8 პროცენტამდე.

სს “თიბისი ბანკი”

ანალიზიური ნეგატიური ცვლილებები იქონია ეკონომიკურმა კრიზისმა სიდიდით მეორე ბანკზე – სს “თიბისი ბანკ”-ზე. თუ წინასაკრიზისო პერიოდში ბანკის საკრედიტო პორტფელი მზარდი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2009 წელს მისი მოცულობა მკვეთრად ეცემა. მხოლოდ 2008 - დან 2009 წლამდე პერიოდში ბანკის საკრედიტო პორტფელი შემცირდა დაახლოებით 300 მლნ ლარით. ამ ცვლილებების ასახვა მოცემულია თანდართული ცხრილით.



წყარო: სს “თიბისი ბანკი”

მკვეთრ ცვლილებებს პქონდა ადგილი საკრედიტო პორტფელის სტრუქტურაში:

1. კორპორაციული სესხების ოდენობის წილი 2007 წლის 80 პროცენტიდან დაეცა 60 პროცენტამდე;
2. გაიზარდა მცირე სესხების ოდენობა პორტფელში 8 პროცენტიდან 15 პროცენტამდე;
3. ზრდა პქონდა სამომხმარებლო სესხების ოდენობას 13 პროცენტიდან 21 პროცენტამდე

სესხის დაბეჭირია	2007	%	2008	%	2009	percentage
კორპორატიული სესხები	803990000	80%	770161000	60%	603680000	61%
სამომხმარებლო სესხები	126338000	13%	258597000	20%	208633000	21%
იპოთეკური სესხი	138615000	14%	199096000	15%	170432000	17%
მცირე და მიკრო სესხები	75288000	8%	175936000	14%	152728000	15%
სხვა	23873000	2%	51726000	4%	33913000	3%

წყარო: სს “თიბისი ბანკი”

და ბოლოს შეჯამების სახით შეგვიძლია დავასკვნათ:

1. ეკონომიკურმა კრიზისმა საკმაოდ მძიმე და ნეგატიური გავლენა იქონია ქართულ საბანკო სექტორზე, რამაც მხოლოდ ორი წამყვანი ქართული ბანკის სახით დააკარგვინა ეკონომიკას დაკრედიტების სახით 620 მლნ ლარი;
2. კრიზისმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ბანკების საკრედიტო პორტფელში და შეამცირა ბანკების კორპორაციული სესხების ხვედრითი წილი პორტფელში, თუმცა სს “თიბისი ბანკმა” უფრო მკვეთრი შემცირება მოახდინა, ვიდრე სს “საქართველოს ბანკ”-მა;
3. ამასთანავე, სახეზეა ცვლილებები ბანკების საკრედიტო პორტფელში: თუ კრიზისის ფონზე სს “საქართველოს ბანკში” იკლო სამომხმარებლო და მცირე სესხების ოდენობამ, სს “თიბისი ბანკმა” გაზარდა ამ ორი მაჩვენებლის დაფინანსება. ამასთანავე, საქართველოს ბანკმა გაზარდა საკრედიტო პორტფელში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგის დაფინანსება.

**ქრისტინა ომაძე
საქართველოს საპატიოარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის
ხახულიშვილის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი
ეკონომიკური პრიზისი და საქართველოს საპრედიცო ბაზრის
ტრანსფორმაცია
ანოტაცია**

ამ სტატიაში გამოკვლეულია ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა
წამყვანი ქართული ბანკების საკრედიტო პორტფელზე. ამასთანავე,
მოცემულია ანალიზი იმ ცვლილებებისა კომერციული ბანკების საკრე-
დიტო პორტფელში, როგორც პასუხი გლობალური ეკონომიკური პრობ-
ლემების მიმართ.

Кристина Омадзе

*Докторант, Университет Грузии им. Святого Андрея Первозванного
при Патриархии Грузии*

ЭКОНОМИЧЕСКИЙ КРИЗИС И ТРАНСФОРМАЦИЯ КРЕДИТНОГО РЫНКА ГРУЗИИ

Аннотация

В данной статье исследовано влияние экономического кризиса на кредитный портфель ведущих грузинских банков. Дан анализ изменениям в структуре кредитного портфеля банков, как результат влияния глобальных экономических проблем.

Kristine Omadze

Ph.D Student,

Saint Andrew the First Called Georgian University

ECONOMIC CRISIS AND CREDIT MARKET TRANSFORMATION IN GEORGIA

Annotation

In this Article I have observed the influence of economic crisis on credit portfolio of the leading Georgian Banks. I have tried to analyses the changes in Bank's credit portfolio as the result of global economic obstacles.

შიგნის პრეზენტაცია-ბანეილგა

ა.წ. 30 მაისს ჩატარდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის წიგნის „საით მიღის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“ პრეზენტაცია განხილვა. ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. სხდომას ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ლეო ჩიქავა.

განხილვაზე მოკლე მოხსენება გააკეთა წიგნის ავტორმა, ემდ, პოფ. როზეტა ასათიანმა. რეცენზია წარმოადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, პროფ. ნოდარ ჭითანავამ. განხილვაში მონაწილეობდნენ პროფესორები: თემურ ბერიძე, მილორდ სიჭინავა, თემურ შენგელია, ომარ ქეშელაშვილი, რეზო ლორთქიფანიძე, ანზორ ბაბუხაძია, ისიდორე ჯანელიძე,

სხდომა შეაჯამა პროფ. ლეო ჩიქავამ. წარმოდგენილ წიგნს მაღალი შეფასება მიეცა.

გთავაზობთ სხდომაზე პროფ. როზეტა ასათიანის და პროფ. ნოდარ ჭითანავას გამოსვლებს.

**როზეტა ასათიანი
ემდ, პროფესორი
„საით მიღის საქართველო?“ – პასუხი საზოგადოებისთვის მიმღებია**

პრობლემის აქტუალურობამ განაპირობა დიდი დაინტერესება საზოგადოებაში, პრობლემისა, რომელმაც საშუალება მომცა წარმოდგენილი წიგნისთვის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზის საფუძველზე, ასეთი შეკითხვით, რომელიც სათაურშიც კი აისახა – „საით მიღის საქართველო?“ მიმემართა მკითხველისათვის, საზოგადოებისათვის, რომლისგანაც, როგორც ავტორი, ველოდები ლოგიკურ პასუხს. ამისთვის კი აუცილებელია, საქართველოსთვის ამ ძნელბედობის ჟამს, ვიმსჯელოთ მოჭარბებულ მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, რომლებიც წარმოიშვა დამოუკიდებლობის აღდგენიდან და გრძელდება დღესაც. საანალიზო პერიოდი (1991-2012) სამ ეტაპად არის წარმოდგენილი: I ეტაპი – 1991-1995 წლები (საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შოკური გზა, რომელიც

ცნობილია „შოკური თერაპიის“ სახელწოდებით, შემუშავებულ იქნა „გაშინგტონის კონსესუსის“ მიერ და თვით პოსტვაშინგტონის კონსესუსმაც კი უარყოფითად შეაფასა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ეკონომიკის შოკირებას თერაპია არ მოჰყოლია; II ეტაპი – 1996-2003 წლებია, რომელიც ცნობილია „ძვირი ფულის“ პოლიტიკით. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ამ ორთოდოქსული მიმართულების მულტიპლიკაციური ეფექტის უმთავრესი მიზანი ფულის მიწოდების მკვეთრი შეზღუდვით ინფლაციის მოთოკვა და ლარის კურსის სტაბილიზაცია იყო. „ძვირი ფულის“ პოლიტიკაც ვაშინგტონში შემუშავდა. მან მხოლოდ „ხანძრის ჩაქრობის“ მოკლევადიანი ეფექტი მოგვცა, ამის პარალელურად კი წარმოქმნა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა დაბალი საინვესტიციო და საქმიანი აქტიურობა, გადაუხდელობის კრიზისის გაღრმავება, საგადასახადო ბაზის შეკვეცა და ა.შ. წარმოქმნა მწვავე საბიუჯეტო კრიზისი და მსოფლიოში საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა მშპ-ში ექსპორტის წილის მიხედვით, რაც დაახლოებით მხოლოდ 3%-ს შეადგენდა. ლარის ხელოვნურმა გამყარებამ გამოიწვია მისი დეფიციტი, დოლარიზაციის სწრაფი ზრდა (ზღვრულ ნორმას – 36%-ს მნიშვნელოვნად გადააჭარბა) და კიდევ უფრო დაამუხრუჭა ეკონომიკის განვითარება, გაამწვავა სოციალური პრობლემები. ეროვნულმა ეკონომიკამ დაკარგა სოციალური ორიენტაცია. ადგილი წარმოსადგენია, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო 12-წლიანი რეფორმის შემდეგ, წარმოებული მშპ-ის 1990 წლის დონის ნახევარსაც კი ვერ აწარმოებდა ქვეყანა, ამიტომ იმ ერთ ნაბიჯს, რომელიც საქართველომ გადადგა წინ 90-იანი წლების დასაწყისში, მოპყვა ორი ნაბიჯი უკან, რის შედეგადაც სოციალური სამართლიანობის ლოზუნგზე აგებული საბჭოური მონოპოლიია შეიცვალა კლანურ ინტერესებზე აგებული კაპიტალისტური მონოპოლიით. ჩვენ იმ გზას არ დავადექით, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანდა.

XXI საუკუნის დასაწყისში, როდესაც მსოფლიო ალაპარაკდა ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტზე, უმძიმესი იყო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამ პერიოდში უმოქმედო საწარმოთა რიცხვმა 80%-ს გადააჭარბა. ინვესტიციების წილი მირითად კაპიტალში მხოლოდ 9,6%-ს შეადგენდა. მოსახლეობის 55% სირარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა.

2004 წლიდან დაიწყო რადიკალური რეფორმების III ეტაპი, რომელიც 2012 წლის ბოლომდე გაგრძელდა. ცივილიზებულმა სამყარომ კვლავ მოიხედა საქართველოსკენ. რეფორმების გატარებაში მნიშვნელოვან დახმარებას ითვალისწინებდა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს

პროექტი, გაეროს განვითარების პროგრამა და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინსტიტუციურ გარდაქმნებზე, ადმინისტრაციული და საჯარო სამსახურის რეფორმირებაზე, საგადასახადო კოდექსის დახვეწასა და გამარტივებაზე და ა.შ. დაძლეულ იქნა 2004 წლამდე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის პერმანენტული დეფიციტი, 2007 წელს მიღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსი, რომლის მოხედვითაც საბაჟო გადასახადების რაოდენობა შემცირდა 16-დან 3-მდე. საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: საქართველოში შემოსული ინვესტიციების დიდი ნაწილი ოფშორულ ზონებზე მოდის. ოფშორული ზონები პოპულარული გახდა გასული საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან. ბიზნესზე სადაგასახადო წნების გაზრდამ ბიძგი მისცა ოფშორული ზონების ფორმირება-განვითარებას. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული, მაგრამ ეროვნული ეკონომიკისაგან იზოლირებული ეს ინსტიტუტები, რომლებიც სარგებლობენ შედავათიანი რეჟიმით (მოგების თავისუფალი გატანა ქვეყნიდან, საწესდებო კაპიტალის დაბალი დონე, კაპიტალის მფლობელთა სრული კონფიდენციალურობა და ა.შ.) მიზნიდები გახდა მრავალი ქვეყნისთვის. საქართველოში (ასევე, რუსეთსა და ყაზახეთში) ადგილობრივი პოლიტელიტის მიერ ნაშოვნი ფული ოფშორში მიდის და ისევ უკან, ამ ქვეყნაში ბრუნდება ინვესტიციის სახით. ეს ქვეყნები (სინგაპური, პონგრინგი, მონაკო, კაიმანისა და ვირჯინის კუნძულები, ჩეხეთი და სხვ), რომლებიც ე.წ. პოლიტბიზნესმენების თავშესაფარია, იმავდროულად მათი ინვესტორებიცაა. საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტიციები ბოლო წლებში შემოვიდა კაიმანის კუნძულებიდან და პოლანდიდან. ამასთან, საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია პრივატიზაციის გზით უძრავი ქონების შეძენაზე. ბუნებრივია, ეს ნეგატიურად აისახა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე და აშკარა დისბალანსი წარმოქნა ქვეყნაში შემოსულ ფინანსურ რესურსებსა და რეალური სექტორის განვითარებას შორის. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააშიშვლა ნეკროეკონომიკის პრობლემები, რომლებიც საქართველოში უკვე ფეხმოკიდებული იყო. ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა 1990 წლის დონის მიდწევა მშპ-ის წარმოების მხრივ. 2012 წელს საქართველოში რეალურმა მშპ-მა შეადგინა 1990 წლის დონის 89,3%, მაშინ, როდესაც ეს ბარიერი დაძლია ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების აბსოლუტურმა უმრავლესობამ. შაინტერესოა, როგორ შეფასებას აძლევდა სსფ 2008 წელს საქართველოში მიმდინარე რეფორმებს: მიუხედავადა იმისა, რომ საქართველოში გაუმჯობესდა საქმიანი გარემო, ჯერ კიდევ, ირდვევა კონტრაქტები, სუსტია სასამართლო სისტემა და ღრმა კორუფციისაგან ქვეყნამ თავი ვერ დააღწია.

საქართველომ ვერ შეძლო ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა გამსდარიყო. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე მან თავი ვერ დააღწია უარყოფით საგადასახადო ბალანსს.

დასამალი არ არის, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობა ოპტიმისტურად არ უურებს მომავალს. სამწუხაროდ, ქვეყნისთვის დამახასიათებელია არაბალანსირებული, ჩამორჩენილი, სხვებზე დამოკიდებული ეკონომიკა, ორიენტირებული იმაზე, რომ წარმოადგენდეს გასაღების ბაზარს და იაფი ნედლეულის მიმწოდებელს. ქვეყნისთვის ნიშნადობლივია უკიდურესი სიღარიბე. დღეს, როდესაც მსოფლიომ გეზი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ აიღო, ინკლუზიური, საყოველთაო ეკონომიკური ზრდის მიღწევა და იგი სოციალურად ასატანი იყოს საქართველოში, მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

მართალია, საკუთრების მრავალფორმიანობა ჩამოყალიბდა, მაგრამ შორსა ვართ საკუთრების პლურალიზმისაგან, ვინაიდან არ არსებობს საკუთრების თითოეული ფორმის თანაბარი უფლება. დათრგუნულმა მონოპოლიურმა ბაზარმა, მმართველი ორგანოების ბიზნესში ზედმეტად ჩარევამ, უცხოური საქონლის ინპორტის ხელშეწყობამ და ბაზრის გაჯერებამ იაფვასიანი პროდუქციით, ამასთან, მენეჯმენტის დაბალმა დონემ და ინფრასტრუქტურის განუვითარებლობამ, ანტიმონოპოლიური რეგულირების არარეგულირებამ და ა.შ. დადი დაასვა მეწარმეობის განვითარებას საქართველოში, ამასთან, ხელი შეუწყო ეკონომიკის არაოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო საქმიანობის მხოლოდ 6,6%, მაშინ, როდესაც საშუალო ევროპული მაჩვენებელი 40%-ია, საშუალო ბიზნესის წილად მოდის 9,2%, ევროკავშირში 18%-ია, სამაგიეროდ, მსხვილი ბიზნესის წილად მოდის 84,2% და 2-ჯერ აღემატება საშუალო ევროპულ მაჩვენებელს. მოკლედ, არა ევროპულმა, არამედ ჯერ კიდევ საბჭოურმა ოროენტაციამ გავლენა მოახდინა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, გააძლიერა „ხელგაწვდილობის სინდრომი“, რამაც კიდევ უფრო მიგვაახლოვა არაპროგნოზირებად რისკებს. დახმარების იმედად დარჩენილი საქართველო ისევ ახალი გამოწვევების წინაშე დგას.

ასეთ სიტუაციაში, გლობალიზაციის დაჩქარებული ტემპის პირობებში, შეუძლებელია საქართველოს ცივილიზებული ურთიერთობა პქნებებს გარე სამყაროსთან. არც ის შეიძლება, რომ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან იზოლირებულად განვიხილოთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამიტომ აუცილებელია ხელი-სუფლებისათვის მისაწოდებლად შევიმუშავოთ რეკომენდაციები (რომელთა ერთი ნაწილი პირადად წარმოდგენილი მაქვს).

„ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს. ჯერ ამ დროების ქერქში უნდა ჩავჯდეთ და მერე განვიკითხოთ თვით დროების შვილნი. ეს ასე

რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვის ცხოვრებასა და ვერ აზრს“ – ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე.

თანამედროვე დროებასაც თავისი ტკიფილი აქვს, წინა ეპოქებისა-გან განსხვავებული. პოზიტიურად დიდია გლობალიზაციის ნებატიური ტენდენციების გავლენა. სწორედ ამ დროების ქერქში უნდა ჩავჯდეთ, უნდა ვეცადოთ საბუთი გუპოვოთ ცხოვრებას, ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების დამანგრეველ, გარე, ეგზოგენურ ფაქტორებს, რომელთა ნიველირების გარეშე გართულდება შიდა ენდოგენური წინააღმდეგობების დაძლევა და ქვეყნის პროგრესი.

ქვეყნის კეთილდღეობაზე, მის ტკიფილსა და იარებზე საქართვე-ლობში დღეს ბევრს მსჯელობენ, მიუთითებენ ნაკლოვანებებზე და კატეგორიულად მოითხოვენ მათ აღმოფხვრას, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, გვესმის მხოლოდ მტკიცნეულ საკითხებზე ლაპარაკი, ხოლო პრაქტიკულად ეკონომიკაზე ნაკლებად ზრუნავენ. ამიტომაცაა, რომ დღეს საქართველოში ჩამოყალიბდა, თუ შეიძლება ითქვას, უარყოფის თავისებური მოდელი, ქვეყანას კი სჭირდება საქმიანი, შედეგიანი კრიტიკა, რომელიც გზას გადაუქმეტავს ყოველგვარ მანკიერებას. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება რამდენად სწორად გაერკვევა საბაზრო ეკონომიკის უნივერსალურ მექანიზმებში და გაითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს, რამდენად აღეგვატურად ააგებს ეროვნულ პოლი-ტიკას, ამ პროცესში ჩართავს ნიჭიერ და კვალიფიციურ კადრებს, დიდად არის დამოიკიდებული ქვეყნის ბერი. მოჭარბებული მწვავე პრობლემების რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრის ფიქრებმა, გამომ-დინარე იქიდან, რომ ლაგის ფაქტორი უკვე კატასტროფულ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე, გადამატყვეტინა საზოგადოებისათვის შემეთავაზებინა, მკითხველის სამსჯავროზე გამომეტანა ეს მონოგრაფიული გამოკვლევა.

ნაშრომის მიზანია, ისტორიულ-ლოგიკური ერთიანობის პრინციპის დაცვითა და სათანადო დასკვნების გაკეთებით, საქართველოში არსებული ვითარების პირუთვნებით შეფასება. სათაურში შემთხვევით არ არის მითითებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. სქოლასტიკური ანალიზისგან განსხვავებით, დღეს განსა-ხილველი ნაშრომი არა პრაქტიკისაგან მოწყვეტილი ცნებების, პატეგო-რიების, არამედ სინამდვილის აღმის, საზოგადოების ცხოვრებაში მიმ-დინარე მოვლენების, პროცესების, ზოგადი ცნებების ანალიზია.

ნაშრომში შევეცადეთ წინა პლანზე წამოგვეწია და გაგვეშუქებინა ის აქტუალური, საჭირობოროტო პრობლემები, რომლებმაც ფრიად ნებატიური ტენდენციები წარმოქმნეს, აფერხებს საქართველოს დემოკ-რატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებას, რეალურ საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობასა და განვითარებას.

ნაშრომმა რიგ საკითხებზე შეიძლება გამოიწვიოს აზრთა სხვადასხვაობა და კამათიც. ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენ ამისთვის მზად ვართ.

თუ უფალმა სიცოცხლის უფლება მომცა, ამ წიგნს გაგრძელება ექნება. ამიტომ მკითხველის ობიექტური შენიშვნები გააზრებული და გათვალისწინებული იქნება შემდეგ გამოცემაში.

ნოდარ ჭითანაგა

*ხაქართველოს ხოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი, ემდ, პოვენირი*

შიგნი, რომელიც ბეგრ საციმრალს აღმრავს

სარეცენზიო ნაშრომის მიმართ საზოგადოების ინტერესი გასაგებია. საერთოდ, ახალ წიგნს, კვალიფიციური მკითხველი (რომელიც სამწუხაორიც ცოტაა ამ წუთისოფელში) მინიმუმ სამ მოთხოვნას უქნებს: **პირველი**, რამდენად აქტუალურია პრობლემა, რომელსაც ნაშრომი მიეძღვნა. **მეორე**, რისი თქმა უნდოდა ავტორს და როგორ მოახერხა ეთქვა სათქმელი და **მესამე**, რა სარგებლობას მოუტანს წიგნი საზოგადოებას.

როგორც მკითხველი, შევეცდები, სამივე კითხვას პასუხი გავცე-

1. საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ თქმა უაღრესად აქტუალურია. ნაშრომი ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილი პერიოდის სისტემურ ანალიზს, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმების ახსნასა და ქვეყნის განვითარების გზების ძიებას. პრობლემა არა მხოლოდ ზოგადეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიოცაა. მსედველობაში გვაქვს ის, რომ ეკონომიკის ტრანსფორმაცია მხოლოდ ქართული მოვლენა არ არის, არამედ საერთაშორისო სტრატეგიული ხედვების საფუძველზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკის თავისებური მოდელია, უფრო სწორად, თეორიული პროდუქტი. ამიტომ ასეთ პრობლემებზე მსჯელობა გულისხმობს, როგორც ქვეყნის, ისე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი დამოკიდებულების გარკვევას, ნაწილიდან დანახული მთელის აღქმას, კონკრეტულისა და ზოგადის ლოგიკური კაგშირების ახსნასა და ა.შ.

ამიტომ ასეთი პრობლემების განხილვის სურვილი ავტორისაგან მოითხოვს ფართო ერუდიციას, მებრძოლურ სულისკვეთებას, განსწავლულობის მაღალ დონეს, ხოვატორი შემოქმედის ნიჭისა და, რაც მთავარია, ერთგულების უნარს – მიაღწიოს დასახულ მიზანს. მისასალმებელია, რომ ავტორის ეს თვისებები კონცენტრირებულადაა წარმოდგენილი წიგნში. შედეგი სახეზეა: ნაშრომი, რომელიც ჩვენგან მოით-

ხოგს პასუხს კითხვაზე – საით მიდის საქართველო? სისტემური ანალიზის შედეგია. ამიტომაც იგი მრავალი ფიქრის აღმდეგია.

ამრიგად, პრობლემა, რომელსაც ნაშრომი ეძღვნება, აქტუალურია.

მეორე კითხვა – რისი თქმა უნდოდა ავტორს?

მონოგრაფიული გამოკვლევა ორიგინალურია. პრობლემები ეხება საქართველოს თითქმის მეოთხედ საუკუნეს და განხილულია ერთიანი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომებით. დაცულია მთვლისა და ნაწილის ერთიანობის, ანალიზისა და სინთეზის, ლოგიკურისა და ისტორიულის, ინდუქციისა და დედუქციის პრინციპები. ავტორმა შეძლო ეკონომიკური თეორიის არსენალში არსებული კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები თანამედროვე პრობლემებთან მიმართებაში სწორად აეხსნა. იგი გარდაქმნების პროცესს განხილავს როგორც მთლიან სისტემას, თანაც ეტაპობრივი განვითარების ჭრილში. გრძნობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჯისცემას. დავაკვირდეთ ერთ თავისებურებას: უახლესი პერიოდის პრობლემების განხილვისას უპირატესად იმოწმებს ამ პრობლემების მიმართ სხვა დროს (უფრო ადრე) გამოთქმულ მოსაზრებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ეკონომიკური ტრანსფორმაციის ეპიცენტრში იდგა, როგორც მკვლევარი და არა მხოლოდ აფიქსირებდა მიმდინარე პროცესებს, მოვლენებს, არამედ მყისიერად გამოხატავდა მათ მიმართ დამოკიდებულებას. ამრიგად, ავტორი ტრანსფორმაციული პროცესების კალაპოტიდან არ ამოვარდნილა. ამასთან, ყველა ერაპზე სწორად ხედავდა განვითარების მთავარ პირობას – ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

საინტერესოა მისი ფორმულირება: „ფინანსურ ბაზრებზე მოკლევადიანმა სპეციულაციურმა გარიგებებმა გზა გაუსხნა ვირტუალურ ეკონომიკას. ფულით ფულის კეთებამ უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით რეალურ სექტორზე მოახდინა, რაც ეკონომიკის მკვეთრ ვარდნაში გამოიხატა“ (გვ. 327). ეს სწორი დასკვნაა. იგი ეხება როგორც მსოფლიო ეკონომიკას, ასევე საქართველოს მაგალითთაც დასტურდება. 2012 წელს 1990 წლის მიმართ მრწველობის პროდუქციის მოცულობაში შეადგინა 52,3%, სოფლის მეურნეობის პროდუქციაში – 37,3%. 2012 წელს სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქცია (რომელიც თითქმის 100%-ით კერძო სექტორში იწარმოება) მნიშვნელოვნად ნაკლებია იმ მოცულობაზე, რაც 1990 წელს წარმოებული იყო საკარმიდამო ნაკვეთებზე.

საყურადღებოა ავტორის ზოგადთეორიული დასკვნაც. „ფინანსური ეკონომიკა მხოლოდ საშუალებაა საბოლოო მიზნის მისაღწევად, საბოლოო მიზანი კი არა სპეციულაციური გარიგებები და ამ გზით ფულის კეთებაა, არამედ მატერიალური და არამატერიალური ღოვლათის წარმოებაა. ეს აქსიომატური ჭეშმარიტება არ იქნა გათვალისწინებული.

ფულის კეთების ხელოვნებამ, რომელსაც არისტოტელემ ქრემატისტიკა უწოდა, დაფარა მეურნეობის მართვის ხელოვნება (ეკონომიკა), შედეგად მივიღეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი” (გვ. 328). ეს სწორი ფორმულირება ავტორის ფართო ერუდიციის დამადასტურებელია (ერთ აბზაცში 25 საუკუნის სივრცეში ფორმირებული აზრებია შეჯერებული).

ნაშრომი მთლიანად გამსჭვალულია ეკონომიკის მიზნის დასაბუთების არგუმენტების სიუხვით, დამაჯერებლობით, ლოგიკურობით. ავტორი ეკონომიკის მიზნად აღიარებს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას. ეს სწორი, საყოველთაოდ მიღებული პოზიციაა და ეხმიანება ეკონომიკურ მეცნიერებაში მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ორ პოზიციას, ლ. ერპაედისა და ი. სტალინის პოზიციებს. ერპარდი თვლილა: კეთილდღეობა ყველასთვის და არა საზოგადოების მხოლოდ შერჩეული ნაწილისთვის, როგორც ეს არის დღეს მსოფლიოში და ფეხს იკიდებს დღევანდელ საქართველოშიც. სტალინის ფორმულირება ყოვლისმომცველია და მიზნად ისახავს მთელი საზოგადოებისათვის მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ავტორის ურყევი პოზიციაა: კეთილდღეობის მიღწევის საშუალებად სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკის მიჩნევა. შეიძლება კატეგორიული ფორმულირება საკამაო იყოს, მაგრამ დემოკრატიის ყველა პრინციპი უპირობო პრიორიტეტად ადამიანის კეთილდღეობას აღიარებს. თუ ეს ასეა, მაშინ ყველა პროცესი აქეთკენ უნდა იყოს მიმართული, პირველ რიგში კი – დემოკრატია. სხვანაირად იგი პლატონისეულ შეფასებას დაიმსახურებს (პლატონი მართვის დემოკრატიას უვარების ფორმად მიიჩნევდა. მისი აზრით, ცხოველებს უფრო მეტი ყურდღება ექცევა, ვიდრე ადამიანებსო).

სწორედ აქ დგება როულ კვანძად შეკრული პრობლემა. საით წავიდეს არა მარტო საქართველო, არამედ მსოფლიო.

აშშ-ის განვითარების ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის დასკვნით დღეს მსოფლიოს 5 უბედურება ჭირს: შიმშილი, უმუშევრობა, უწიგნურობა, ავადმყოფობა, უთანასწორობა. ეს არა მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებია, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივიც.

ყველაზე დიდი უბედურება, რაც საქართველოს „დამოკლეს მახვილივით“ ჩამოექიდა, სილარიბეა და ამით განპირობებული ხელჩაჭეულობის ფსიქოლოგია.

ამიტომ დღევანდელ საზოგადოებაში მკაფიოდ ჩამოყალიბდა მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა, წინააღმდეგობა ახალ მდიდრებსა და ახალ დარიბებს შორის. სოციალური პოლარიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული წინააღმდეგობა პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამ რეალობიდან გამოსავალი ერთადერთია: ეროვნული

ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება და მისი შედეგების სოციალური სამართლიანობის პრინციპებით განაწილება.

ამრიგად, ეროვნული ეკონომიკის მოდელთან მიმართებაში ავტორ-მა საკუთარი, ჩვენი აზრით, სწორი პოზიცია არგუმენტირებულად წარმოადგინა.

ავტორმა ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის პრობლემების განხილვისას, ლოგიკურად დასვა გლობალური პრობლემაც – ეკონომიკური თეორიების გენეზისისა და მათი გამოყენების თავისებურებების შესახებ. იგი ეკონომიკური თეორიის განვითარების 4 ეტაპს გამოყოფს (გვ. 323). 1. სმითის თეორია; 2. კეინზის თეორია; 3. ნეოკლასიკური სინთეზი; 4. ანტიკეინზიანური, ანუ მონეტარული თეორია. რა თქმა უნდა, ასეთი დაყოფა პირობითია, თუმცა, თითოეული ეტაპის ავტორისეული ახსნა ყურადღებას იმსახურებს. ამ კონტექსტში, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ის რეალობა, რომელმაც თავად კლასიკური კაპიტალიზმის ევოლუცია დააჩქარა და მას სოციალური ორიენტირების უნარი შესძინა. მხედველობაში მაქს მარქსიზმი, როგორც ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მიმართულება. ვინმეს მოსწონს თუ არა იგი, ეს არ არის მთავარი. რეალობა ისაა, რომ ამ მოძღვრებაში ეპოქა შექმნა. კაცობრიობამ უნიკალური გამოცდილება შეიძინა. ისტორიული გამოცდილება კი (როგორც ასეთი) პოზიტიურთან ერთად, ნეგატიურსაც შეიცავს. ამ უკანასკნელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს – გკარნახობს რა არ ვარგა. როგორც ჩანს, ავტორი მარქსიზმს და, საერთოდ, საბჭოთა სოციალიზმს „არ წყალობს“. მასში ჭარბად ხედავს მხოლოდ ნეგატიურს. მეცნიერებაში არ არსებობს სიმპატიური და არასიმპატიური პრობლემები. მეცნიერება მოვალეა კეთილსინდისიერად დასვას პრობლემა და ჩამოაყალიბოს პოზიცია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოში სოციალისტურმა სისტემამ მოკლე პერიოდში შეძლო ეკონომიკის შექმნა, კულტურის, განათლების, მეცნიერების ჩამოყალიბება და კარკვეულ პერიოდში განვითარების მაღალ ტემპებსაც კი მიაღწია. თუნდაც ის, რომ ზემოთ დასახელებული 5 პრობლემა მინიმალურად მაინც გადაწყდა, ბევრ პოზიტიურ მხარეზე მიანიშნება.

რა თქმა უნდა, ეკონომიკა, ეფექტიანობის თვალსაზრისით, პრობლემების წინაშე იყო, მაგრამ მას ნგრევა კი არ სჭირდებოდა, არამედ სრულყოფა. ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ – ეროვნული სიმდიდრის საყოველთაო ძარცვის გზა. ამიტომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის ობიექტური პროცესი დამანგრეველ ფაქტორად ვაქციეთ.

ავტორი სწორ დასკვნას აკეთებს, როდესაც აღნიშნავს, რომ საქართველოში შექმნილი ნახევრად რეფორმირებული, კლანურ

ინტერესებზე აგებული არაეფექტიანი ეკონომიკა მოსახლეობის ბილიკიური არსებობის ფუნქციასაც კი ვერ ასრულებს.

უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს ავტორის დამოკიდებულება კეინზის თეორიის მიმართ. იგი აღნიშნავს: „გარდამავალ პერიოდში საქართველოს კლასიკური ფორმით არც ერთი ეკონომიკური თეორია არ გამოუყენებია, მითუმეტეს კეინზიანური მოდელი.“ აღსანიშნავია, რომ, ჯერ კიდევ, 90-იანი წლების დასაწყისში ავტორი კეინზიანური მოდელის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხს პრინციპულად აყენებდა და არგუმენტირებულად ასაბუთებდა. მაშინ აკადემიურ წრებში ეს პოზიცია მას დაუწენეს.

რამდენად გამართლებულია კეინზის მოდელისადმი ყველგან და ყველა ვითარებაში ნდობის გამოცხადება?

მოდელი უნივერსალურია, მაგრამ მისაღები ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლისათვის. ეფექტიანი მოთხოვნის უპირატესობა კეინზს ესმოდა როგორც პირობა კრიზისიდან გამოსვლისა. კეინზის მოდელის სიცოცხლისუნარიანობის ნიშნები საქართველოშიც დადასტურდა. ი. არჩვაძის აზრით, მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა 1:100-თანაა. უფრო მარტივი მაგალითიც – ელიაგას ბაზრობა. ხიდთან სკონტანურად ფორმირებადი სიტუაცია, როცა სამუშაო ძალის მიწოდებელთა რაოდენობა ძევრად ჭარბობს რეალურ მოთხოვნას.

დღეს საქართველოს ეკონომიკაში რთულ კვანძებად ჩამოყალიბებული, მრავალმხრივობით გამორჩეული პრობლემების გადაწყვეტას ალბათ არც ერთი მოდელი არ მიესადაგება. კაცობრიობა კრიზისიდან გამოსვლის სამ ფორმას იცნობს: ომებს, რევოლუციებსა და დიქტატურას. ჩვენ ყველაფერი გამოვცადეთ. დავრწმუნდით, რომ რაც გამოვცადეთ, არც ერთი მათგანი მისაღები არ იყო. ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა არასტანდარტულია. ამიტომ ქრესტომათოული დოგმებით ჩამოყალიბებული მიდგომებით მისი გაჯანსაღება შეუძლებელია. ერთი რამ ცხადია, გარღვევის სტრატეგიის მოდელზე უნდა ავიდოთ ორიენტაცია. განვითარების ე.წ. **მობილიზაციური მოდელი** უფრო გამოადგება ქვეყანას. რამდენადაც, ზოგიერთისათვის გაუგებარია, თუ რას ნიშავს ეს, მოკლედ განვმარტავ: შეისწავლეთ „რუზველტის ახალი კურსი“, „მარშალის გეგმა“, ჩინეთ-ვიეტნამისა და „აზიური ვეფხების“ – ტაივანის, სინგაპურისა და სხვათა გამოცდილება, თუნდაც მეორე მსოფლიო ომისშემდგომი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები და დარწმუნდებით, რომ მთავარი მიზნისა და მიზნის მიღწევის ცენტრალური რგოლის შერჩევის პრინციპი განვითარების სწორ გზაზე გაგვიყვანს.

ჩვენი აზრით, დღეს საქართველოს ეკონომიკაში სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს ეკონომიკური უსაფრთხოება, უფრო კონკრეტულად –

სასურსათო უსაფრთხოება. ამჟამად შიდა ბაზრის 80% იმპორტს უჭირავს, ამასთან, შემოტანილი სასურსათო პროდუქციის დიდი ნაწილი უვარგისია.

აგრარული სექტორი ის რგოლია, რომლის ამოწევით მთელი ჯაჭვის ამოწევა ხდება, რადგანაც იგი ექსკლუზიურ ფუნქციასთან ერთად (სასუსრათო უსაფრთხოება), ეროვნული ეკონომიკის ახალი დარგობრივი სტრუქტურის (ქიმიური, კვების მრეწველობა, ვაჭრობა, ტურიზმი) ჩამოყალიბებას განაპირობებს.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებაზე ორიენტაცია – სტრატეგიულად სწორი მიმართულება.

ე.წ. მობილიზაციური მოდელი ეტაპობრივი და დროებითი ღონისძიებაა, რომელიც მთავარი მიზნის განხორციელებისთვის რესურსებით კონცენტრაციის პრინციპს ეფუძნება. გასათვალისწინებელია გეოეკონომიკის, ამ სტრატეგიული რესურსის, განმსაზღვრელი მნიშვნელობაც.

ევრაზიის სივრცეში საქართველოს დიდი პერსპექტივა აქვს. ქართველი არც ევროპელია და არც აზიელი. ეს უპირატესობა – თვისებრიობაა. ორივეს სჭირდება საქართველო, ასევე საქართველოს – ორივე სჭირდება. როგორი მოდელიც არ უნდა ავირჩიოთ, გასათვალისწინებელია საქართველოს ეკონომიკის განვითარების ისტორიული თავისებურებები. კერძოდ, XIX საუგუნიდან დაწყებული დღემდე საქართველომ გამოსცადა რამდენიმე უცხოური დოქტრინა. მაგალითად, „წმინდა კაპიტალიზმის თეორიით ნასაზრდოები, მაგრამ რუსეთის იმპერიის თავისებურებებს მორგებული კაპიტალისტური განვითარების დოქტრინა. საქართველოს განვითარების კაპიტალისტური სტადია არ გაუვლია. ისტორიული ვითარების შესაბამისად საქართველომ მოინდომა სოციალდემოკრატიული პრინციპების განხორციელება. სიტუაციის გამო ეს პრინციპები არ განხორციელებულა, არც ნების შესაძლებლობები იყო ბოლომდე გამოყენებული. ცენტრალიზებული დაგეგმვის და მართვის ეკონომიკური სისტემის პოტენციალიც სრულად არ იყო გამოყენებული. „შოკური თერაპია“, როგორც დოქტრინა, არ შეესაბამებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ლიბერალურ-მონეტარული მოდელი ადგევატური არ იყო გარდაქმნების პროცესებისა. ნეოლიბერალიზმა (როგორც ავტორი უწოდებს, ულტრალიბერალიზმა), ხელი შეუწყო ეკონომიკური პროცესებიდან სახელმწიფოს ჩამოცილების პროცესს და მისი პოზიტიური როლის მინიმზაციის კურსის განხორციელებას.

ყოველი მომდევნო დოქტრინა წინას ანტიპოდი იყო. ამიტომ ეკონომიკის განვითარებაში მემკვიდრეობის პრინციპი დაირღვა, გარკვეულ სტადიებზე მიღწეული პოზიტიური შედეგებიც წაიშალა (ეს პირველ რიგში ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განადგურებაში

გამოიხატა და სრულად აისახა ეროვნული სიმდიდრის საყოველთაო ძარცვის პროცესზე).

დასავლეთის ეკონომიკა ევროუციურად ვითარდებოდა, ჩვენთან კი ეკონომიკის ტრანსფორმაცია კატაკლიზმების ფონზე წარიმართა. დღეს თავიდან იწყება წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმების ჩამოყალიბება.

ამრიგად, განვითარების პოზიტიური შედეგების წაშლით, ლოგიკურად მივიღეთ კვაზისაბაზრო ეკონომიკა – კონგლომერატი, რომელსაც ისტორიული ანალოგი არა აქვს და ეროვნული ეკონომიკის ეფექტიან განვითარებას აფერხებს. მისი ყველა შემადგენელი (მიწა, შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი, ინტეგრირებული ცოდნა, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება) დეფორმირებულია.

დაბოლოს, ავტორმა სათქმელი თქვა, თანაც კეთილსინდისიერად, თამამად, პრინციპულად და რაც არსებითია, თანამედროვე ეკონომიკური თეორიის არსენალში წარმოდგენილი კონცეპტუალური მიდგომების შეჯერების საფუძველზე გაკუთხებული ლოგიკური დასკვნებით.

ავტორი მართალია საკუთარ თავთან, საზოგადოებასა და მეცნიერებასთან.

რაც შეეხება მესამე კითხვას – რა სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას შემოთავაზებული ნაშრომი, პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი – დიდ სარგებლობას.

ლოგიკურად დგება საკითხი – „საქართველოს ეკონომიკის“, როგორც სავალდებულო სასწავლო დისციპლინის, ყველა უმაღლეს სასწავლებელში სწავლების აუცილებლობის შესახებ.

ასე რომ, სარეცენზიონ წიგნი მართლაც ბევრ საფიქრალს აღძრავს მკითხველში.

06 ვორმაცია

უფრნალ ეკონომისტის რედაქცია აცხადებს კონკურსს პრემიის მოსაბოვნებლად 2013 წელს უფრნალში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიისათვის. პრემია მიედუთვნება სტატიას, რომელსაც გამოავლენს მაღალკალიფიციური ჟიური, სამეცნიერო სტატიისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრემიის მფლობელს გადაეცემა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით.

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბჯებება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორების შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფორმით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის დირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics_institute@yahoo.com, nbilashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დაგატვირთი ცენტრისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

**აკადემიუმის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

შედავათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო ჟრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

293 22 60; 551 10 07 04.

ელ-ფოსტა: economics_institute@yahoo.com

შურნალ “ეკონომისტი” სტატიების ფარმოლგენის ზესხი

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური და რუსული TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ აასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ლირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დაგვატებითი ცენტრისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

GEL

მიმღები	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE
JOURNAL “ECONOMISTI”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision the date of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: economics_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

USD

BENEFICIARY	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
BENEFICIARY BANK	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
INTERMEDIARY BANK	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ქურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.
E-mail: economics_institute@yahoo.com

Journal “Economisti”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103
E-mail: economics_institute@yahoo.com

თესუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
რედაქტორი ნატო აბესაძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**